აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№61 (24.941) ხუთშაბათი, 16 - 17 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამის საათებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

სალომე ზურაბიშვილი ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს მიმართავს, გაითვალისწინოს ქართველი ხალხის ნება საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნულის თაობაზე პრეზიდენტმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა. ზურაბიშვილის თქმით, პერსონალური წერილით მიმართავს, ასევე, თითოეული, 27 წევრი ქვეყნის მეთაურს და წარუდგენს ყველა პოლიტიკურ, მორალურ და სტრატეგიულ არგუმენტს, თუ რატომ იმსახურებს საქართველო ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას და რატომ შეიძლება იყოს საბედისწერო შეცდომა მისი დატოვება ამ გზის მიღმა.

* * *

ირლანდიის სენატმა მიიღო საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებს ევროკავშირს, მიანიჭოს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. „სენატი მხარს უჭერს, ევროკავშირის გაფართოებას ევროპული ნორმებისა და ღირებულებების მქონე იმ ქვეყნების გაწევრიანებით, რომლებიც პირნათლად ასრულებენ ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და აგრძელებენ ძალისხმევას ევროინტეგრაციის გზაზე," - აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

„ლელოს" თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე ეხმაურება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას დღეისთვის თბილისში, ევროპის მოედანზე დაანონსებული ფართომასშტაბიანი შეკრების თაობაზე და აცხადებს, რომ მისი პარტია იქნება ამ აქციაზე, ამასთან, ყველას მოუწოდებს, მოვიდნენ 20 ივნისის აქციაზეც. „დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ერთიანობა, როგორც არასდროს, გვჭირდება სახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმა", - წერს იგი სოციალურ ქსელში.

* * *

თუ გვინდა, რომ გარკვეული გავლენა მოვახდინოთ ევროპელი პოლიტიკოსების გადაწყვეტილებაზე, რომელიც 17 ივნისს იქნება, მაშინ მანამდე უნდა შევიკრიბოთ, მანამდე არის 16 ივნისი. 20-შიც შევიკრიბოთ, ისედაც ვაპირებდი მისვლას ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, - ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების" ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა დედაქალაქში დაგეგმილ აქციებზე საუბრისას განაცხადა. „20 ივნისთან დაკავშირებით მაქვს ჩემი პროტესტი და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დამიძახებს, ვინ არის ორგანიზატორი. ისე მტკივნეულად მახსოვს 20 ივნისი, 20 ივნისს, პირველ რიგში, მივალ იმისთვის, რომ გავაპროტესტო რაც მაშინ მოხდა," - განაცხადა ელისაშვილმა.

მოამზადა
ია შველიძემ

Courtyard by Marriott-ი გახსნისთვის ემზადება

წელს ბათუმს ექსკლუზიური არქიტექტურის მქონე, საერთაშორისო ბრენდის Courtyard by Marriott-ის 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო შეემატება

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 45 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

ოპერირების დაწყების შემდეგ, პროექტში შემავალი სასტუმრო და პრემიუმ კლასის აპარტამენტები 300-ზე მეტი ადამიანის დასაქმებას უზრუნველყოფს.

41-სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსის „ალიანს პალასის" მშენებლობა 2015 წლის ბოლოს დაიწყო. ამჟამად სასტუმრო გახსნისთვის ემზადება. დასრულდა როგორც სამშენებლო-სარემონტო, ასევე ინტერიერის აღჭურვის და მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

გუშინ Courtyard by Marriott-ის ფინალური სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ კომპანიის ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერეს.

შშმ პირთა დასაქმების ფორუმი – „ჩვენ შეგვიძლია"

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და აჭარის დასაქმების სააგენტოს ორგანიზებით, სასტუმრო „ჰილტონ ბათუმში" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ფორუმი „ჩვენ შეგვიძლია" გაიმართა. მისი მიზანი აჭარის რეგიონში მცხოვრები დასაქმების მსურველი შშმ პირებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე დამსაქმებლების ერთიან სივრცეში მობილიზება და დასაქმების, სტაჟირებისა და სუბსიდირების პროგრამების ხელშეწყობა იყო.

ფორუმში აჭარაში მოქმედი 20-მდე მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანია მონაწილეობდა. ვაკანსიები წარმოდგენილი იყო სასტუმრო, სარესტორნო, სავაჭრო, სამრეწველო, საბანკო და სხვა სფეროებიდან.

ღონისძიებას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში რესან კონცელიძე, უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი ტიტე არაშიძე, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი ნინო ველთაური, ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები, ბათუმის მერიის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და შშმ სტატუსის მქონე სამუშაოს მაძიებლები ესწრებოდნენ.

აჭარის დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ კახიძემ შეხვედრაზე წარმოადგინა პრეზენტაცია აჭარაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერითი დასაქმების სახელმწიფო სერვისების შესახებ. განიხილეს თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრირების ხელშეწყობის კუთხით, წარმოადგინეს პრეზენტაციები აჭარაში შშმ პირთა დასაქმების სახელმწიფო სერვისების შესახებ.

ფორუმის მეორე ნაწილი პირისპირ შეხვედრებს დაეთმო, სადაც სამუშაოს მაძიებელ შშმ პირებს შესაძლებლობა მიეცათ, პირისპირ გასაუბრებოდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს.

ფორუმზე მადლობის სიგელით დაჯილდოვდა ბათუმის მერია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რესოციალიზაციაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე, დაჯილდოვდნენ კომპანიები შშმ პირთა პროფესიული განვითარებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნისთვის.

ელენე საყვარელიძე

სოფლის მეურნეობის მინისტრმა მოადგილე წარადგინა

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ თანამშრომლებს ახალი მოადგილე წარუდგინა. მინისტრის მოადგილის თანამდებობა არჩილ ბერიძემ დაიკავა

არჩილ ბერიძე პროფესიით ეკონომისტ-სამართალმცოდნეა, საჯარო სამსახურში 15-წლიანი გამოცდილება აქვს. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტში უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

- გამოცდილება, პროფესიონალიზმი, საქმისადმი ერთგულება, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართულობა - ეს ის კრიტერიუმებია, რომლის მიხედვითაც შეირჩა არჩილ ბერიძის კანდიდატურა, - აღნიშნა ზაზა შავაძემ მინისტრის მოადგილის წარდგენისას.

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

გამარჯვებული სტარტაპერები დაჯილდოვეს

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 150 000-ლარიანი თანადაფინანსების გრანტების პროგრამის გამარჯვებული 20 სტარტაპერი უკვე ცნობილია. სააგენტომ პროგრამა 2022 წლის 9 მარტს მერვედ გამოაცხადა და მისი მიზანია საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, მათი კომერციალიზაცია და ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება. თანადაფინანსების გრანტები წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ინსტრუმენტს, რომელიც ინოვაციის მხარდასაჭერად გამოიყენება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. 2022 წელს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მოცულობა 100 000-დან 150 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო აღნიშნული პროგრამის შვიდი რაუნდის ფარგლებში, ჯამურად, 135 სტარტაპი დაფინანსდა. შემოსული 230 განაცხადიდან, სპეციალურად თანადაფინანსების გრანტების პროგრამისთვის შერჩეულმა უცხოელმა ექსპერტებმა, ფინალისტები გამოავლინეს, რომლებსაც საინვესტიციო კომისიის წინაშე თავიანთი იდეების წარსადგენად უცხოელი ტრენერები ამზადებდნენ.

გამარჯვებული პროექტების დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფუვაძე, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ინოვაციების სააგენტოს თავმჯდომარე ავთანდილ კასრაძე, საინვესტიციო კომიტეტის წევრები და კონკურსში მონაწილე სტარტაპები ესწრებოდნენ, ქობულეთში გაიმართა. თორნიკე რიფუვაძემ გამარჯვებულ სტარტაპერებს წარმატება მიულოცა და ქვეყანაში თანამედროვე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკა, რომელიც სწრაფად, ძლიერად ვითარდება როგორც რეგიონში, ასევე ქვეყანაში, თქვენი მხრიდან მხარდაჭერილი იყოს იმ ახალი ინოვაციებით, იმ კრეატიულობით, რომელიც გვჭირდება ჩვენ და თანამედროვე ეკონომიკას. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, პრიორიტეტი გახლავთ ადამიანური კაპიტალის განვითარება, ახალი ინოვაციების შექმნა. ბუნებრივია, ჩვენ მივესალმებით თითოეულ თქვენგანს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც გააჩნია ამ ყველაფრის შესაძლებლობა, მოტივაცია, უნარები, სამეწარმეო სულისკვეთება და მუხტი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ის ინკლუზიური განვითარება, რომელიც ჩვენი მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, იგრძნობოდეს ყველგან - ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში. მინდა თითოეულ თქვენგანს მივულოცო ეს გამარჯვება. დარწმუნებული ვარ, ეს არის დასაწყისი ახალი გამარჯვების, იმ ძალიან გრძელი გზის, სადაც თქვენი ახალი ტექნოლოგიები, ახალი პროდუქტები იქნება გამოყენებული“, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

ანკა ჩხიკვაძე

ჭარბტენიანი ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია „ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ჭარბტენიანი ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად“ გაიხსნა

„საერთაშორისო თანამშრომლობა შავი ზღვის სანაპირო ზონაში რამსარის კონვენციის პროგრამების განხორციელებაში“, „შავი ზღვის აუზის ჭარბტენიანი ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება“, „შავი ზღვის აუზის მდინარეებისა და სანაპირო წყლების დაბინძურების მონიტორინგი“, „ნარჩენების მართვა შავი ზღვის სანაპირო ზონაში“, „განათლება ჭარბტენიანი ტერიტორიების და წყლის რესურსების დასაცავად“ - ეს ის თემებია, რომლებზეც სამი დღის განმავლობაში ბსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერები, ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გარემოს ეროვნული სააგენტოს ექსპერტები, დაცული ტერიტორიების, ბათუმის ბოტანიკური ბაღის სპეციალისტები, პედაგოგები, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის წარმომადგენლები მოხსენებებს წარმოადგენენ.

კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა ჭარბტენიანი ლანდშაფტების დაცვის მნიშვნელობაზე, ითქვა, რომ ათწლეულების განმავლობაში არსებობდა ერთგვარი სტიგმა, თითქოს ჭაობი არის უვარგისი, გამოუყენებელი ტერიტორია. შედეგად არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც მოხდა ჭაობების დაშრობა და ამისთვის დაიხარჯა მნიშვნელოვანი თანხები, არადა, დრომ აჩვენა, რომ ასეთმა მიდგომამ მოიტანა უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ეკონომიკური კუთხით. საჭირო გახდა ჭაობების აღდგენა და ახლა, სწორედ, ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, განსაკუთრებით - უცხოეთის ქვეყნებში.

- პროექტი ეხება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვას, ეკოგანათლებას, კლიმატის ცვლილებას და მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც შავი ზღვის ირგვლივ არსებული სხვა რეგიონებისთვის, ისე ჩვენთვის - საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჭარბტენიანი ეკოსისტემებისათვის, - აღნიშნა ბსუ-ის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა, ბიოლოგიის დოქტორმა იზოლდა მაჭუტაძემ.

სამეცნიერო კონფერენცია პროექტის „ეკოცნობიერება ჭარბტენიანი ტერიტორიების ღირსშესანიშნავი გარემოს შესანარჩუნებლად - ბიოსწავლება BSB 142“ ეგიდით, „ევროკავშირის ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტების საოპერაციო პროგრამის ტრანსსასაზღვრო სამეზობლო თანამშრომლობა შავი ზღვის აუზში 2014-2020“ ფარგლებში ტარდება.

ია შველიძე

შშმ პირთა დღე მიულოცეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

დაბა შუახევში 2018 წლიდან მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრი. ცენტრის დირექტორი გიორგი სურმანიძე, აღმზრდელ-მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი ყველაფერს აკეთებენ 25 ბენეფიციარის საზოგადოებაში ინტერგირებისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, ცენტრის ბენეფიციარები, დასაქმებული პერსონალი, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა რიკიხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში მიიპატიჟეს. მათ დღესასწაული მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილეებმა გიორგი დავითაძემ, გიორგი კეკელიძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ, დღის ცენტრის დირექტორმა გიორგი სურმანიძემ.

ცენტრის ბენეფიციარებმა ხატვის, ძერწვის ნიმუშები წარმოადგინეს, ჩაერთნენ სხვადასხვა თამაშობებში, მუსიკალურ საკრავებზე შეასრულეს მელოდიები.

შუახევის სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებმა თანატოლებისთვის კონცერტი გამართეს.

- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა შშმ პირთა დღის ცენტრის მუშაობას უყურადღებოდ არ ტოვებს. ოთხწლიანი საქმიანობა გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ ცენტრი თავის დანიშნულებას ამართლებს, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

დაბაძველელმა გიორგი ზოიძემ მძიმე ტრავმა გადაიტანა. მისი გადარჩენა ექიმებმა დიდი ძალისხმევის ფასად შეძლეს. ცენტრში ჩარიცხვის შემდეგ მან სმენა დაიბრუნა, უკვე სიტყვებსაც წარმოთქვამს. მამით ობოლს დედა მზრუნველობას არ აკლებს და იმედოვნებს, რომ გიორგი მალე საზოგადოების აქტიური წევრი გახდება.

რეზო ხარაზი თვლის, რომ მაღალჩინოსნების დანაშაული სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში გამოიკვეთა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სახელმწიფო აუდიტის მიერ პარლამენტში ანგარიშის წარდგენას გამოეხმაურა და ამასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.

როგორც ბათუმის საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რეზო ხარაზმა განაცხადა, „აჭარაში თორნიკე რიფუვაძეს კორპუმპირებული გუნდი ჰყავს“. მისივე თქმით, მაღალჩინოსნების დანაშაული სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში გამოიკვეთა და საკითხით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს

„პარლამენტში აუდიტის სამსახურმა ანგარიში წარადგინა, რომლის მიხედვით, აუდიტის 19 დასკვნა საქართველოს პროკურატურაშია გადაგზავნილი, დასკვნაში პირდაპირ აღწერილია სისხლის სამართლის დანაშაულები. 19 დასკვნიდან 5 აჭარას ეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ თორნიკე რიფუვაძე საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული თანამდებობის პირია, მას აჭარაში ყველაზე კორუმპირებული გუნდი ჰყავს. სისხლის სამართლის საქმე ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანზე უნდა იყოს დაწყებული, ასევე ხელვაჩაურის ყოფილ მერ ჯუმბერ ვარდმანიძეზე. ამასთან, დანაშაული აქვთ ჩადენილი ქობულეთის ყოფილ და მოქმედ მერებსაც. ბათუმის უნივერსიტეტში სტუდენტების ფული მოიპარეს მაღალჩინოსნებმა, ესეც დასკვნაშია ასახული და პროკურატურაშია საქმე. პროკურატურას მოვუწოდებთ, რომ პასუხი გაგვცეს.

დასკვნაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულებების უმრავლესობაა მოხვედრილი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეზე სისხლის სამართლის დევნა უნდა იყოს დაწყებული, როგორც აუდიტის სამსახურის უფროსმა თქვა, ეს პროცესები დაწყებულია, მაგრამ რეალურად ვერ ვხედავთ, საქმეები შემოდებულია თაროზე და დრო ხელოვნურად გაჭიანურებულია. პროკურატურას მოვუწოდებთ, სისხლის სამართლის დამნაშავე, ხალხის ფულის მჭამელი, ბატონი რიფუვაძის და მისი გუნდის მიმართ ღია გამოძიება დაიწყოს, ყველამ გაიგოს, ვინ რამდენი, სად შეჭამა. ეს ყველაფერი აუდიტის სამსახურის მიერ დოკუმენტურად დადასტურებულია“, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

ანკა ჩხიკვაძე

„არარაობებთან დაკავშირებით მე კომენტარს აღარ გავაკეთებ"

- ასე გამოეხმაურა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფუვაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებას და აღნიშნა, რომ დანაპირებს ასრულებს და შემდეგი 5 წელი „ნაცმოძრაობასთან" დაკავშირებით კომენტარს აღარ გააკეთებს

„ჩვენ რასაც ვამბობთ, იმას ვასრულებთ. ამიტომ, შემდეგი 5 წელი „ნაცმოძრაობასთან“ დაკავშირებით კომენტარი აღარ იქნება. არარაობებთან დაკავშირებით მე კომენტარს აღარ გავაკეთებ. ჩვენ ხალხს ყველაფერი ვაჩვენეთ, ყველა ვამხილეთ, თუ ვინ რას წარმოადგენს. არავის გვაქვს ამბიცია, რომ ანგელოზები ვართ, თუმცა მათთან შედარებით, მართლა ანგელოზები ვართ. ამიტომ, კომენტარი აღარ იქნება. თქვენც მინდა გთხოვოთ, მედიის წარმომადგენლებს, რომ „ნაცმოძრაობის“ „კლოუნადასთან“ და მათ ბანდიტურ განცხადებებთან დაკავშირებით, არასოდეს გვთხოვოთ საპასუხო კომენტარები. ბრალდებები უნდა დაამტკიცონ, როგორც ამ ქვეყნის წესებს და კანონმდებლობას ეკადრება და როგორც დაგპირდით, ყოველთვის იქნებიან დაჩოქილი ჩვენი ხალხის წინაშე“, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

გამოსავალი ჩიხიდან, რომელიც ომმა მოიტანა...

ედვარდ ლუტვაკი - ამერიკელი სამხედრო სტრატეგი, რომლის რჩევებში სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურები წლების განმავლობაში სოლიდურ თანხებს იხდიან. რუსეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე მას პრეზიდენტი პუტინი პირადად იწვევდა. აშშ-ის ერთვნული უშიშროების ყოფილი მრჩეველი ზბიგნევ ბუზეინსკი მისი შეფასებისას ამბობს: „როდესაც ედვარდ ლუტვაკზე ვფიქრობ, წარმომიდგება ძლიერი ინტელექტუალი, რომელიც მიდრეკილია კატეგორიული დასკვნებისკენ... მაგრამ ხანდახან იტაცებს სურვილი, შოკი მოჰგვაროს მსმენელებს. მიუხედავად ყველაფრისა, ყოველთვის ღირს მისთვის ყურის დაგდება“



მართლაც, ყურადსაღებია მისი პასუხები რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტის კითხვებზე, რომლებიც უკრაინაში რუსეთის შეჭრასა და მის თანმდევ მოვლენებზე დაუსვა. შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს მისი საუბრიდან. კითხვას - შეიძლებოდა თუ არა რუსეთ-უკრაინის ომის თავიდან აცილება, იგი ასე პასუხობს:

- რეალურ ომს წინ უძღოდა ინტელექტუალური ომი - კრემლში საზრდოობდნენ იდეით, რომ „დადგა რუსეთის იმპერიული აღორძინების დრო“. ეს უნდა ყოფილიყო შეუქცევადი პროცესი. სამხრეთ ოსეთი თითქმის თოფის გასროლის გარეშე ჩაიგდეს ხელში, აფხაზეთიც, სუსტ სახელმწიფოსთან - საქართველოსთან დაპირისპირებით. ამას მოჰყვა ყირიმის უსისხლოდ მოპოვება ბევრად უფრო დიდი, ტერიტორიულად ევროპის უდიდეს სახელმწიფოსთან დაპირისპირებით. იმ ეტაპზე კრემლი პოკერის ერთობ ფრთხილი მოთამაშე იყო, ასე რომ, პროფესიონალი პოკერის მოთამაშის გადმოსახედიდან, 24 თებერვალს ვიხილეთ ასეთი სურათი - ეს მანამდე ერთობ ფრთხილი მოთამაშე ადგა, მივიდა რულეტის მაგიდასთან და მთელი თავისი მონაპოვარი ერთ რიცხვზე „შეაგდო“. ერთი შეხედვით, ეს სიგიჟეა, მაგრამ, აი, რა მოხდა სინამდვილეში: რუსეთის მთავრობას სჯეროდა - და ეს 100 პროცენტით ვიცით - რომ ეს ოპერაცია ისეთივე უსისხლო იქნებოდა, როგორც ოპერაცია „ყირიმი“, „აფხაზეთი“ და „ოსეთი“. რუსული სცენარი იყო ასეთი: ვერტმფრენები ანტონოვის აეროპორტზე სადესანტო ჯგუფებს ჩამოსხამდნენ, რამდენიმე ასეულს, ისინი პერიმეტრს გაწმენდდნენ, შემდეგ IL-76-ები რამდენიმე ათას მებრძოლს გადმოსხამდნენ და ჯავშანტრანსპორტიორები ადვილად გადასერავდნენ მანძილს ბელარუსიდან კიევამდე. შედეგი: ზელენსკი გარბის, მთავრობა იშლება, უკრაინის არმია ბრძოლაზე უარს აცხადებს, რუსული ტანკების ორმწკრივიანი, უზარმაზარი კოლონა ტრიუმფით შედის კიევში, რათა უკრაინელებმა და მთელმა მსოფლიომ დაინახონ, რაოდენ უძლეველია რუსული არმია. აი, ასეთი იყო სცენარი, რომელიც რუსმა გენერლებმა პუტინს „შეასაღეს“ ან ის უთხრეს, რისი გაგონებაც ამ უკანასკნელს სურდა. მათ ყველას ასე სურდათ და ვინაიდან მათთვის უკრაინა ცალკე ქვეყნის ნაცვლად რუსეთის ნაწილად აღიქმებოდა, დაზვერვის „თემა“ „ეფესბეს“ (რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური) ჩაბარდა. მათ უნდა შეემოწმებინათ, რამდენად სარწმუნო იყო ინფორმაცია, რომ ეს ყველაფერი გამოვიდოდა. მეტიც, პუტინმა იცოდა, რომ CIA (აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის სააგენტო) ზუსტად იმავე პროგნოზს აძლევდა პრეზიდენტ ბაიდენს. სწორედ ამიტომ შესთავაზა ბაიდენმა ზელენსკის გაქცევა - „უბერის“ გამოძახება“. მე მქონდა ინფორმაცია „ეფესბეს“ და CIA-ს ამ პროგნოზების შესახებ და ვთვლიდი, რომ ეს აბსოლუტურად მცდარი პროგნოზი იყო. ომამდე დავწერე ტვიტერზე - ვიღაც აპირებს ევროპის ყველაზე დიდი ქვეყნის ძალიან პატარა არმიით დაპყრობას და მას ეს არ გამოუვა. ეს ილუზია, რომელსაც ერთნაირად იზიარებდნენ ვაშინგტონსა და მოსკოვში, ეყრდნობოდა ომის შესახებ ე. წ. ახალ იდეებს. ისინი იყენებენ სხვადასხვა ტერმინს: მეოთხე თაობის ომი, ჰიბრიდული ომი, მაღალტექნოლოგიური ომი... არაკინეტიკური ომი - აი, ტერმინი, რომელიც ამ ყველაფერს აერთიანებს. კინეტიკური ნიშნავს, რომ ერთმანეთს ისევ ტყვიებს ვესვრით - აქილევსის მიერ შუბის ტყორცნა - ეს კინეტიკური ომია და ომის ე. წ. მგეგმავებს შორის როგორც მოსკოვში, ასევე ვაშინგტონში არსებობდა მოსაზრება, რომ დღეს არაკინეტიკური ომის ხანაში ვართ, რომ კინეტიკური ომი მოძველდა, ძველმოდურია, დღეს ხომ ხელოვნური ინტელექტი გვაქვს და ა. შ. ერთი სიტყვით, პუტინი ან დააჯერეს, ან მან თავადვე ირწმუნა ომის მცდარი თეორია. ყველა იმ გენერალს, რომელიც ამ თეორიას ქადაგებდა, რუსსა თუ ამერიკელს, მკერდი დამშვენებული აქვთ მედლებით, რომლებიც მოიპოვეს სირიელებთან, ერაყელებთან, ავღანელებთან ბრძოლებში. ისინი შეჩვეულები იყვნენ ცუდად შეიარაღებულ ხალხთან ბრძოლას ან ბრძოლებს, სადაც ერთი ათზე იყო უპირატესობა მათ სასარგებლოდ. მათ ვერ წარმოედგინათ, თუ რა შეუძლიათ პატრიოტული სულისკვეთების მქონე ევროპელებს იარაღით ხელში - ეს კი სწორედ ისაა, რასაც დღეს ვხედავთ. პუტინი, პოკერის ეს ფრთხილი მოთამაშე, არ გაგიჟებულა - ის, უბრალოდ, შეუერთდა იმ კონსენსუსს, რომ ეს ყველაფერი ძალიან იოლად გამოვიდოდა და უკვე 25 თებერვალს მე ვთქვი - მორჩა, ისინი ვერ გაიმარჯვებენ. ამ მომენტიდან საუკეთესო ნაბიჯი, რაც რუსეთს შეეძლო გადაედგა, იყო ჯარების უკან გამოყვანა და ამ ყველაფრის „ინციდენტად“ მონათვლა. ასე რომ ექნათ, სანქციები არ დაატყდებოდათ თავს. ეს არის კაზუსი, როდესაც დაზვერვის „იაღლიშმა“ მოსპო ე. წ. შეკავების ელემენტი და ფაქტორი, თანაც ორივე დაპირისპირებული მხარისთვის. იგივე პროგნოზები ჰქონდათ გერმანელებს და ამიტომაც იყო, რომ 23 თებერვალს გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ს არ შეაჩერებდნენ, თუ „რაიმე ინციდენტი მოხდებოდა“ და რომ უკრაინას არც იარაღს მიაწოდებდნენ და არც ესტონეთს მისცემდნენ გერმანული წარმოების იარაღის გადაცემის უფლებას. მეორე გარდამტეხი მომენტი ომში იყო ის წუთი, როდესაც პუტინმა გადაწყვიტა, უკან არ დაეხია და მიეღო ომის რეალობა - ომისა, რომელსაც თან ახლდა სანქციები. ეს იყო დიდი შვიდეულის უმნიშვნელოვანესი სანქციები, რომელმაც კიდევ ერთ პოპულარულ თეორიას გადაუსვა ხაზი - რომ წარმოიშვნენ ახალი მსოფლიო ძალები, როგორიცაა, მაგალითად, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა, თურქეთი და, რა თქმა უნდა, მთავარი - ჩინეთი. უზარმაზარი ჩინეთი, რომელიც, როგორც გაირკვა, იმდენადვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმდინარე მოვლენებში, როგორც სან მარინო. გაირკვა, რომ ჩინელებს არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ რუსეთზე ზემოქმედებისთვის, არანაირი როლი, არაფერი. და მთელი ეს ახალი სამყაროო შეიქმნა 24 საათის განმავლობაში, სამყარო, რომელიც წარმოშვა ერთმა ფაქტმა - უკრაინელები მოიქცნენ ისე, როგორც იქცევიან პატრიოტი ევროპელები იარაღით ხელში. პირველი მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომი, რომლებმაც წლები გასტანა - ეს ომები იმ ამოუხსნელი „ფორმულის“ შედეგია, რასაც ვიღებთ, როდესაც პატრიოტულად განწყობილი ევროპელები იარაღს იღებენ ხელში. ჩინელებს ეს არ აქვთ. არც სხვა ერებს აქვთ, არავის აქვს მსოფლიოში დღემდე. ეს ევროპული ომია.

ვნახოთ, რაში ხედავს იგი გამოსავალს...

ლუტვაკი: - გამოიკვეთა ერთი გამოსავალი. უკრაინელებმა შესაძლოა, მოახერხონ ხერსონის ოლქის დაბრუნება, მაგრამ ვერ შეძლებენ დონეცკისა და ლუგანსკის დაბრუნებას და როცა საქმე ამ ეტაპამდე მივა, პუტინმა შეიძლება თქვას: მე გავჩერდები, თუ თქვენც გაჩერდებით და ეს და ეს დამრჩება. პრობლემა მსგავსი „გამოსავლისას“ არის ის, რომ ზელენსკი უკრაინის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტია და უფლება არ აქვს, უკრაინის ორი დიდი რეგიონი მტერს გადაულოცოს. ერთად აღებული დონეცკი და ლუგანსკი საშუალო სიდიდის ევროპული ქვეყნისხელაა. მეორე მხრივ, პუტინი თუ ერთპიროვნულად იმოქმედებს და ამ რეგიონების ღია ანექსიას შეეცდება, სანქციები ძალაში დარჩება, შედეგად კი რუსეთში „ჩამობნელდება“. მათ საშინელი ეფექტი ექნებათ რუსებზე, მათი ცხოვრების წესზე. ერთადერთ გამოსავლად ამ ჩიხიდან ვხედავ იმას, რომ ზელენსკიმ პლებისციტი გამოაცხადოს დონეცკსა და ლუგანსკში - ნამდვილი პლებისციტი და არა რუსული „რეფერენდუმი“. საერთაშორისო მონიტორინგის და მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ჩატარებული პლებისციტი. ეს ერთადერთი გამოსავალია ამ ჩიხიდან. პლებისციტში გადაწყვეტილების მიღება უწევს იმ ხალხს, რომელიც იქ ცხოვრობს და ზელენსკის, უკრაინის დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს, არ შეუძლია აპრიორი თქვას: ოჰ, არა, უკრაინა უარს იტყვის დემოკრატიულ გამოსავალზე. დონეცკსა და ლუგანსკს აქვთ უფლება, დემოკრატიული გზით გადაწყვიტონ საკუთარი მომავალი - პუტინიც ხომ ამას გაიძახის? მას ექნება შესაძლებლობა, რუს ხალხს განუცხადოს, რომ დონეცკსა და ლუგანსკს მოუპოვა უფლება, თავიანთი არჩევანი გაეკეთებინათ. ისინი უკრაინის ტყვეები იყვნენ, მაგრამ ამ ომის წყალობით, თუმცა ის ძვირად დაგვიჯდა, მათ აქვთ უფლება, თავად აირჩიონ, რა უნდათ. და თუ ის საკუთარ ნარატივს გადაუხვევს და ამ რეგიონების მიერთებას ეცდება, ომი კიდეც რომ შეწყვიტოს, სანქციებს მაინც არ მოუხსნიან.

როგორ მიაღწია რუსეთმა გარკვეულ წარმატებებს ბოლო ხანებში?

ლუტვაკი: - ეს რუსებისთვის ისტორიული ნორმაა - საშინლად იწყებენ, ზემოდან ნაკარნახები, მცდარი იდეებით, ცუდი, პოლიტიკანი გენერლებით. ომის დროს ამ გენერლებს ხსნიან და მათ ადგილზე მოდიან პოლკოვნიკები, რომლებმაც საქმე იციან და უკეთ იბრძვიან. დღესაც ასე ხდება. დიდი უკეთესობა არაა, მაგრამ პროგრესი არის. უკრაინელების მსხვერპლი იზრდება. დასავლეთის დახმარება, თუ არ ჩავთვლით შტატებსა და ბრიტანეთს, შეზღუდულია. იტალიაში, მაგალითად, პოლიტიკური ნარატივი გამოიყურება ასე - დიახ, გვინდა დავეხმაროთ უკრაინას, მაგრამ ტანკებს არ გავუგზავნით, რადგან ტანკები შემტევი იარაღია - სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს სამხედრო უვიცობისა და მეტიჩრობის ნაზავია. თითზე ჩამოითვლება იმ ქვეყნების სია, რომლებიც უკრაინას რეალურ სამხედრო დახმარებას უწევენ. ესენია პოლონეთი, რომლებმაც ტანკები მისცეს, ამერიკელები, ბრიტანელები... დანარჩენები სიმბოლური ჟესტებით შემოიფარგლებიან. ასე რომ, უკრაინას აწუხებს შეიარაღების დეფიციტისა და მზარდი სამხედრო დანაკარგების პრობლემა - საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ „ჩიხიდან“ გამოსავალი ეძებო.

შეძლებენ კი რუსები უკრაინის სამხრეთსა და აღმოსავლეთში მოპოვებული ტერიტორიების შენარჩუნებას და როგორია უკრაინის შანსები, ეს მიწები დაიბრუნოს?

ლუტვაკი: - უკრაინისთვის მთავარი პრობლემაა ფასი, რომლის გადახდაც კიევს ამ მიწების დასაბრუნებლად მოუწევს. შეძლებენ თუ არა ამას, დამოკიდებულია იმაზე, არიან თუ არა მზად ამ ფასის გადასახდელად და ეს ფასი ძალიან მაღალია. რუსეთს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია მობილიზაცია, ხალხი, რომელიც დღეს უკრაინაში იბრძვის, ეს საკონტრაქტო ჯარისკაცები არიან, მათთვის ეს პროფესიაა, ამიტომაცაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბურიატია პატარაა, პატარა მოსახლეობა ჰყავს, მსხვერპლის შეფარდებითი მაჩვენებელი ძალიან მაღალი აქვთ. ოსები, ბურიატები, დაღესტნელები - მათ ყველას არაპროპორციული დანაკარგები აქვთ, რადგან რუსეთი ამ ხალხს საზარბაზნე ხორცად იყენებს. საკონტრაქტო სამხედროებში მსხვერპლს კი ნაკლები პოლიტიკური ან სოციალური ეფექტი, „ხარჯი“ აქვს. პოლიტიკური გადმოსახედიდან, უკრაინას მსგავსი „გასახარჯი“ მოსახლეობა არ ჰყავს, მსხვერპლი იქ ბევრად უფრო მტკივნეულად აღიქმება. ჩვენი საუბრის პარალელურად, უკრაინელები ცდილობენ, ხერსონი დაიბრუნონ და თუ პუტინი მართლაც იმ სტრატეგიას მისდევს, რომელსაც მივაწერ - რომ დათმოს ყველაფერი, მაგრამ შეინარჩუნოს დონეცკი და ლუგანსკი, მაშინ რუსები ხერსონში დიდ წინააღმდეგობას არ გასწევენ, განსხვავებით დონეცკისა და ლუგანსკისაგან - თუ უკრაინა ამ რეგიონების დაბრუნებას შეეცდება, რუსული დანაყოფების დიდ მასას შეეტაკება, სერიოზული თავდაცვითი სიღრმითა და მრავალრიცხოვანი არტილერიით გამაგრებულს. სახმელეთო გზა ხერსონის ოლქზე გადის და ის იმ ტერიტორიის ნაწილი იქნება, რომელსაც პუტინი ვერ შეინარჩუნებს. მთელი ეს ლაპარაკი სახმელეთო ხიდის შესახებ თეორიებია და მეტი არაფერი. ამას არასდროს ჰქონია დიდი მნიშვნელობა რუსეთისათვის.

რჩევა უკრაინას და პრეზიდენტ ზელენსკის

ლუტვაკი: - ზელენსკის ვურჩევდი, მთელი ძალისხმევა ხერსონის ოლქის დაბრუნებას მოახმაროს, თავდაცვით პოზიციებზე დარჩეს დონეცკსა და ლუგანსკში და ფსონი რუსეთში რუსული ელიტის რეპუტაციის რყევაზე დადოს. რუსული ელიტა დემორალიზებულია ამ ომისგან. ამას დიდი გავლენა ექნება პლებისციტზე - ვფიქრობ, ზელენსკის საკმაოდ კარგი შანსები აქვს, ეს პლებისციტი მოიგოს. ამით ის ომს დაამთავრებს დემოკრატიული პლებისციტით და, პარალელურად, რუსეთს სანქციებს მოუხსნიან, რაც, სხვათა შორის, დიდი შეღავათი იქნება უკრაინის ეკონომიკისთვისაც. ასეთი იქნებოდა ჩემ მიერ შეთავაზებული სცენარი.

მოამზადა
მარი მიდასელმა

უცხოეთი

დასავლეთმა უკრაინას მეტი მძიმე იარაღი უნდა მიაწოდოს, რათა რუსეთის სასტიკ შეჭრას წინააღმდეგობა გაუწიოს, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. მისივე თქმით, ნატოს მოკავშირეები უკრაინას მრავალი წლის განმავლობაში უჭერენ მხარს. 2014 წლიდან მათ გაწვრთნეს და აღჭურვეს ათიათასობით უკრაინელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც ახლა ფრონტზე არიან და ებრძვიან პრეზიდენტ პუტინის სასტიკ შეჭრას. „არ არსებობს იმის პროგნოზირება, თუ როგორ და როდის დასრულდება ეს ომი. ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ, გააგრძელონ ბრძოლა დიდი ხნით, ჩვენ კი გავაგრძელებთ მხარდაჭერას“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა.

* * *

ვმუშაობ ევროპელ პარტნიორებთან, რომ უკრაინაში ჩარჩენილი 20 მილიონი ტონა მარცვლეული ბაზარზე გავიტანოთ და ხელი შევუწყოთ სურსათზე ფასების შემცირებას, - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. მისივე თქმით, დაგეგმილია მარცვლეულის შესანახი დროებითი ნაგებობების აშენება უკრაინის საზღვრებზე, მათ შორის, პოლონეთში, რაც ექსპორტის განხორციელებას შეუწყობს ხელს. „აშშ მუშაობს უკრაინიდან მარცვლეულის სარკინიგზო გზით გამოტანის გეგმაზე, მაგრამ უკრაინის სარკინიგზო ლიანდაგები განსხვავდება ევროპულისგან, ამიტომ მარცვლეული საზღვარზე სხვადასხვა მატარებელში უნდა გადაიტანონ“, - განმარტა ბაიდენმა.

* * *

ვინ თქვა, რომ ორ წელიწადში უკრაინა იარსებებს მსოფლიო რუკაზე? - ასეთ კითხვას სვამს რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი „ტელეგრამის“ არხზე. „ვნახე შეტყობინება, რომ უკრაინას „ლენდ-ლიზით“ სურს ოკეანისიქითა მფლობელებისგან მიიღოს თხევადი ბუნებრივი აირი 2 წელიწადში გადახდის პირობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, უბრალოდ, გაიყინება ამ ზამთარში. ისმის კითხვა: ვინ თქვა, რომ ორ წელიწადში უკრაინა იარსებებს მსოფლიო რუკაზე? თუმცა ამერიკელებისთვის სულერთია - მათ იმდენი ინვესტიცია ჩადეს პროექტში „ანტი-რუსეთი“, რომ დანარჩენი მათთვის წვრილმანია“, - წერს მედვედევი.

* * *

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია საგანგებო შეხვედრაზე გადაწყვეტს, გამოაცხადოს თუ არა მაიმუნის ყვავილის გავრცელების გამო განსაკუთრებული მდგომარეობა. „მაიმუნის ყვავილის აფეთქება უჩვეულო და შემაშფოთებელია. ამ მიზეზის გამო, გადავწყვიტე, მომავალ კვირას მოვიწვიო საგანგებო კომიტეტი ჯანდაცვის საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად, რათა შევაფასო, არის თუ არა ეს აფეთქება საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობა“, - განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ტედროს ადანომ გებრეისუსმა. მსოფლიოში, ბოლო კვირების განმავლობაში, „მაიმუნის ყვავილის“ 1 600-მდე შემთხვევა გამოვლინდა.

მოამზადა
ია შველიძემ

ეს სითბო და სიყვარული ორი ქვეყნის ურთიერთობას დაამშვენებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარაში რამდენიმე დღეა იმყოფებიან რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული ოჯახების შვილები, რომლებიც აქ ჩამოიყვანეს ქართულ-უკრაინული პროექტის „ბავშვებს უნდათ მშვიდობა“ ფარგლებში.

პროექტს საქართველოს მხრიდან ახორციელებს საქველმოქმედო ფონდი „ალილო-2015“ (ფონდისა და ჰუმანიტარული დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი - გენო თებიძე), ხოლო უკრაინული მხრიდან - უკრაინის ქალთა კლუბი „ჩემი უკრაინა“ (ხელმძღვანელი - ლილიანა გრიჩულევიჩი).

ამ პროექტის განხორციელება „ალილომ“ და უკრაინის ქალთა კლუბმა 2014 წლის ომის შემდეგ ერთად დაიწყეს. პროექტის ფარგლებში სამჯერ ჰყავდათ ჩამოყვანილი საქართველოში, კერძოდ, ბათუმში რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები უკრაინიდან, ორჯერ კი უკრაინაში ჩაიყვანეს საქართველო-რუსეთის ომის შედეგად დაზარალებული ოჯახების შვილები, ძირითადად, საუბარია ომის ვეტერანთა შვილებზე.

პროექტით „ბავშვებს უნდათ მშვიდობა“ შესაძლებელი გახდა ბათუმში 25 ბავშვის (10-დან 16 წლამდე) ჩამოყვანა. ისინი, ძირითადად, იმ ქალაქებიდან არიან, სადაც ომის შედეგად საცხოვრებელი სახლები მიწასთანაა გასწორებული, ზოგიერთი ქალაქი საერთოდ აღარ არსებობს.

როგორც გენო თებიძემ გვითხრა, ბავშვები 4 ივნისს ჩამოვიდნენ და 18-ში პოლონეთის გავლით გაემგზავრებიან უკრაინაში. ისინი გონიოს კერძო სასტუმროში დააბინავეს. მათ ბევრი ადამიანი უდგათ გვერდით, ისინი საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით აფინანსებენ მათ აქ დაბინავებას, კვებასა და სხვადასხვა აქტივობას.

- ბევრი დაგვიდგა გვერდით, ერთ-ერთი დამფინანსებელი მამუკა ხაზარაძეა. ბავშვები უკრაინულმა მხარემ შეარჩია. იცით, რომ ყველაზე დიდი დიპლომატია სახალხო დიპლომატიაა. აქედან წასული ბავშვები იმ სითბოს და სიყვარულს წაიღებენ თან, რომელიც ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობას ნამდვილად დაამშვენებს. ეს წელს უკრაინელი ბავშვების პირველი ვიზიტია არა მხოლოდ ბათუმში, საერთოდ საქართველოში. პროექტი აუცილებლად გაგრძელდება და მთელი ზაფხულის განმავლობაში შევეცდებით უკრაინიდან ბავშვების ჩამოყვანას. მეორე ჯგუფში, რომელსაც ისევ უკრაინული მხარე შეარჩევს, უფრო მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები იქნებან. მათ ახლავთ ხუთი მოხალისე უკრაინიდან - ფსიქოლოგები და პედაგოგები, რომლებიც ცდილობენ, ბავშვებს მასპინძლებთან ერთად, გადაატანინონ ომის სიმძიმე, - გვითხრა გენო თებიძემ.

- ქართულ-უკრაინული პროექტი რამდენიმე დღეა განახლდა. დღეს ზღვისპირა პარკში, იმ ადგილზე მოვიყვანეთ ბავშვები, სადაც უკრაინელი ხალხის ორი დიდი შვილის - ლესია უკრაინკასა და ტარას შევჩენკოს ბიუსტები დგას, ყვავილები მივიტანეთ. ამ შეხვედრის მიზანია ქართული და უკრაინული კულტურების წარმოჩენა, ბავშვების დამეგობრება. დიასპორაში ვინახავთ დროშას, რომელზეც იმ ბავშვების ხელმოწერებია, ვინც ამ პროექტით პირველად ჩამოვიდა ჩვენთან. დროშას ამათი ხელმოწერებიც შეემატება. დღეს აქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც მოვიდნენ (დირექტორი იანა ჩადუნელი). ამ სკოლის თითქმის ყველა კლასი სხვადასხვა აქციას ახორციელებს. აქვე მოვიდნენ ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლასთან არსებული მსოფლიოს ხალხთა ცეკვების ანსამბლ „მეგობრობის“ წევრები (ხელმძღვანელი მანანა სახელაშვილი) და ჩვენი დიასპორის წარმომადგენლები. უკრაინელმა და ქართველმა ბავშვებმა შეასრულეს თავიანთი ქვეყნების სიმღერები და ცეკვები. ანსამბლ „მეგობრობის“ ერთ-ერთი წევრის დედა ნარგიზ ლორთქიფანიძე, ბავშვებს ნაყინით გაუმასპინძლდა, - გვითხრა აჭარაში უკრაინული დიასპორის ხელმძღვანელმა ნატალია მიროშნიჩენკომ.

- პროექტს 5 წელი შეუსრულდა. ორმხრივი პროექტი სოციალურია და ძალიან აქტუალურია 2014 წლიდან, მაგრამ ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. სამწუხაროდ, ვეღარ ვახერხებთ იმ ქართველი ბავშვების მიღებას, რომელთა მშობლები, ბაბუები იბრძოდნენ როგორც 1992-1993 წლების აფხაზეთის, ისე 2008 წლის ომში. იმედი მაქვს, რომ მსოფლიოს და გამორჩეულად, საქართველოს მხარდაჭერით, უკრაინა მალე გაიმარჯვებს და შესაძლებლობა მოგვეცემა, თქვენი ბავშვები ჩვენთან წავიყვანოთ. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ ამ ომში, თუმცა არ ვიცით, როდის დასრულდება ეს კოშმარი. ახლა ისეთი ბავშვები ჩამოვიყვანეთ, რომელთა ოჯახებიც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილდებიან და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად იქცნენ. იმ ქალაქებიდან არიან, რომლებიც ან მთლიანად განადგურებულია, ან რუსული არმიის მიერაა ოკუპირებული. ბავშვებმა ბევრი გადაიტანეს, ზოგიერთთან ძალიან ძნელია ამ თემაზე საუბარი, რადგანაც იციან, რომ მათ უკვე სახლი აღარ აქვთ, ვერსად დაბრუნდებიან. მათი უმრავლესობა ახლა კიევში ცხოვრობს, მადლობა უფალს, მშობლებთან ერთად და ეს სასიხარულოა. ძალიან ბევრმა ბავშვმა დაკარგა მშობლები. ეს ძალიან მძიმე ისტორიებია. ჩვენ მათი რეაბილიტაციისთვის ბევრი მუშაობა მოგვიწევს. ახლა იმ ბავშვებზე გეტყვით რომლებიც დღეს აქ არიან. მათთვის შევიმუშავეთ ძალიან აქტიური პროგრამა - შეისწავლიან საქართველოს ისტორიას, ტრადიციებს, კულტურას... მათ ჩაუტარდათ ხინკლის მომზადების მასტერკლასები, ასევე ქართულ ცეკვებში, სიმღერებში. ისინი ათვალიერებენ აჭარის ყველა მნიშვნელოვან ადგილს, მაღალმთიანეთს. მათ ყველგან ძალიან თბილად ხვდებიან. 18 ივნისს გაემგზავრებიან სამშობლოში, სადაც ჯერ კიდევ ომია. პოლონეთის გავლით მიემგზავრებიან და ვიმედოვნებ, რომ გულით წაიღებენ ყველაფერს, რაც აქ ნახეს და განიცადეს. მათ საქართველოში ყველგან ძალიან თბილად ხვდებიან. მადლობა „ალილოს“ თანამშრომლობისთვის. ეს ფონდი მეხუთე წელია ჩვენს ბავშვებს მასპინძლობს. პროექტს აუცილებლად გავაგრძელებთ, ის კი არა, უკვე წელსაც ვაპირებთ ბავშვების ჩამოყვანას. და ეს პირველად ხდება, რომ მოკლე ვადაში მეორედ გვინდა ბავშვების ჩამოყვანა. ამყამად გონიოში, კერძო სასტუმროში ვართ დაბინავებულები. მისი მესაკუთრეები ბავშვებს როგორც საკუთარ შვილებს, ისე უვლიან. ბავშვებისთვის ყველაფერი უფასოა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის თითოეულს, ვინც ამ მძიმე დროს ჩვენთანაა, - გვითხრა ლილია გრიჩულევიჩმა.

- უკრაინელი ბავშვების ჯგუფთან ერთად ჩამოვედით. ესენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან არიან. დროებით სხვა ქალაქში ცხოვრობენ. იქ უფრო დაცულად არიან. ახლა თქვენი მხარის მოწვევით აქ ვიმყოფებით, რათა ბავშვებმა სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გაიარონ. მათთან მუშაობენ ჩვენი ფსიქოლოგები. არაჩვეულებრივად ვისვენებთ, ბავშვები ძალიან კმაყოფილები არიან, ხედავენ თქვენს კეთილგანწყობას, მხარდაჭერას მათდამი. შემდეგი ჯგუფი დაღუპული მფრინავების შვილები იქნებიან, - თქვა უკრაინელმა მოხალისე ანასტასია ანტოსიაკმა.

„აჭარას სჭირდება განსხვავებული, ინოვაციური, სტრატეგიული იდეები“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პერსპექტიული ლექტორები სხვადასხვა აქტივობას და პროექტს სთავაზობენ საგანმანათლებლო კერებს, რომელთა არსი და დანიშნულება სტუდენტის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაა. ამ თემაზე დღეს გვესაუბრება მნიშვნელოვანი პროექტის ავტორი, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბსუ-ის დოქტორანტი (ლინგვისტიკა-დიპლომატიურ დისკურსში) ***ლაშა ბოლქვაძე****, რომელიც ამავე უნივერსიტეტში მოწვეულია იაპონური ენის ლექტორად*

- თქვენმა პროექტმა - „ევროპის და აზიის კულტურათაშორისო კომუნიკაცია“ - კონკურსში გაიმარჯვა, გილოცავთ. გვიამბეთ ამ კონკურსის შესახებ...

- ეს კონკურსი გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელწოდებით - „სტუდენტთა საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტები 2022“. მონაწილე 13 პროექტიდან დაფინასება რამდენიმე პროექტმა მოიპოვა, მათ შორის ჩვენმაც. მსგავსი პროექტები ხშირად ხორციელდება და ფინანსდება, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, შექმნან რაიმე კრეატიული, შეიმუშაონ სხვადასხვა სტრატეგია, შემდეგ განახორციელონ და წარმატებას მიაღწიონ. ამაში უნივერსიტეტი ხელს უწყობს.

- ბსუ-ს განსაკუთრებით ემადლიერებით?

- რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ ყველაფრისთვის, არ აქვს მნიშვნელობა შედეგი ნეგატიურია თუ პოზიტიური, რადგან ორივე შემთხვევაში გამოცდილებას ვიღებ შემდგომი წარმატებისათვის. როგორც ჯეკ კენფილდი ამბობდა: „წარმატებული და სრულფასოვანი ცხოვრების ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინგრედიენტი მადლიერებაა“. ამიტომ არ მაქვს უფლება, რომ არ ვიყო ჩვენი უნივერსიტეტის მადლიერი.

- როგორ დაიბადა ამ პროექტის იდეა და რა არის პროექტის მიზანი?

- ჩვენს კუთხეს, აჭარას სჭირდება განსხვავებული, ინოვაციური, სტრატეგიული იდეები და მათი განხორციელება, რათა მოთხოვნადი გახდეს ქვეყნის შიგნით და გარეთაც საგანამანათლებლო, სამედიცინო, ტურიზმის, გასტრონომიის, სოფლის მეურნეობისა და სამშენებლო დარგებში. საერთაშორისო ურთიერთობები არის ძლიერი ინსტრუმენტი ამ კომპონენტების განვითარებისათვის, ინვესტორებისა თუ ტურისტების მოზიდვის, სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის, საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამებისა თუ კულტურათშორისი კომუნიკაციების გზით გამოცდილებების გაზიარების. ეს ყველაფერი იყო ჩვენი იდეის ინსპირაცია. ამ იდეის კონსტრუქტორები არიან ჩემი სტუდენტები ელენე კურტანიძე და ნინი კაკაბაძე, რომლებმაც დიდი შრომა ჩადეს ამ პროექტში, რისთვისაც მადლიერი ვარ.

- რა პერიოდის განმავლობაში განხორციელდება იგი და ძირითადად, სტუდენტების რომელ სეგმენტს მოიცავს?

- რამდენიმე დღეს გასტანს. თუმცა ჩვენი პროექტით განხორციელებული იდეა დარჩება უნივერსიტეტში და მომავალ თაობას მისცემს საშუალებას, საინტერესო აქტივობები ჩაატარონ. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ შევქმნით ევროპისა და აზიის ოთახს, სადაც ყველა ქვეყანა, რომელიც არის წარმოდგენილი ჩვენს უნივერსიტეტში, თავს მოიყრის. სივრცე დროთა განმავლობაში აღიჭურვება შესაბამისი ატრიბუტებით, ყველა წარმოდგენლი ქვეყნის საელჩოს მხარდაჭერით, შევავსებთ მას თითოეული ქვეყნის ტრადიციების ამსახველი, კულტურული და ლიტერატურული მასალებით. უნივერსიტეტის სტუდენტებს ამ სივრცის გამოყენების საშუალება ექნებათ სხვადასხვა ღონისძიებისა თუ შეხვედრებისათვის.

- მართლაც, მნიშვნელოვანი საკითხებია, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად: აქტიური სტუდენტური ცხოვრება, არაფორმალური განათლება, ჯანსაღი ცხოვრების წესი...

- სტუდენტური ცხოვრება არის ყველაზე ძვირფასი, ღირებული, საინტერესო, განსაკუთრებით მრავალფეროვანი მონაკვეთი ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს უჩნდებათ შესაძლებლობა, მიიღონ საკმარისი გამოცდილება, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლება, ეზიარონ ჯანსაღი ცხოვრების წესს, რაც მნიშვნელოვანია სწორი განვითარებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი აქტიურად ჩართვა სხვადასხვა პროექტსა თუ ღონისძიებაში. აღნიშნული პროექტი სწორედაც ამას ემსახურება, სტუდენტებს აძლევს გამოცდილებას, ცოდნას, განვითარების საშუალებას.

- რას ურჩევდით სტუდენტებს, აბიტურიენტებს?

- გააანალიზონ, სად ხედავენ მომავალში საკუთარ თავს. არ აქვს მნიშვნელობა უმაღლესი თუ პროფესიული განათლება იქნება. არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტური ცხოვრების პერიოდში აღმოაჩენენ, რომ სწავლობენ იმას, რაც მათთვის ნაკლებად საინტერესოა. ამ დროს ჯობია მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მათ ინტერესებს ემთხვევა, სტუდენტური ცხოვრება არ უნდა იქცეს უინტერესოდ, ამ დროს უნდა აკეთო ის, რაც თვითონ გაინტერესებს და გსიამოვნებს. სურვილი და მონდომება ყველაფერს შესაძლებელს ხდის. მთავარია, არასოდეს დანებდეთ და გახსოვდეთ, ამას შეიძლება დრო დასჭირდეს, თუმცა წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

- დაბოლოს, განათლება ანუ...?

- კარგი ცხოვრებისკენ სწორი, უსაფრთხო და უმოკლესი გზა..

„აუცილებელია, ყველა არჩევანი, რომელსაც ადამიანი აკეთებს, დამოუკიდებელი იყოს“

ნანა აბულაძე 27 48 93

„ჩემი შვილიშვილი დოსტური უნდა გამოვიდეს“ - ფრაზა ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ შემთხვევით არ მიხსენებია. მინდა, ჩვენი მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ შევაჩერო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სწორი პროფესიის არჩევა, რაც უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში და სამომავლო კარიერის წარმართვაში. ალბათ განსაკუთრებულს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ხშირია მშობლების გადაჭარბებული წარმოდგენა შვილების უნარების შესახებ, რომლებიც იმიტომ ურჩევენ თავიანთ პირმშოებს კონკრეტულ პროფესიას, რომ ის იმ დროისათვის პოპულარულად მიაჩნიათ, ან თავიანთ ეგოს იკმაყოფილებენ და არ ინტერესდებიან, რა სურთ შვილებს, ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, არასწორად შერჩეულმა პროფესიამ დიდი იმედგაცრუება, სტრესი და თვითშეფასების დაქვეითება გამოიწვიოს მათში. აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიების მოდურობას მხოლოდ ოჯახი არ განაპირობებს და ეს იმ სოციუმის „დამსახურებაცაა“, რომელშიც ვცხოვრობთ. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ცოდნა არის გამოცდილება, რომელსაც ადამიანი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე აუცილებლად გამოიყენებს. ვიყოთ ზუსტად იმ პროფესიის წარმომადგენლები, რომელსაც ვთვლით, რომ ჩვენია და გვიყვარს, უდიდესი ბედნიერებაა, ფუფუნებაა, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრს არ აქვს ჩვენს ქვეყანაში. რთულია 16-17 წლის ასაკში, მიიღო სწორი გადაწყვეტილება, მიხვდე, ვინ გინდა გახდე მომავალში, თუმცა მთავარია, არ შეაჩერო ძიება, რაც ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მიგიყვანს სწორედ იმ პროფესიამდე, რომელიც, ბევრი შრომის მიუხედავად, არასდროს დაგღლის.

გადავწყვიტე, შემთხვევითობის პრინციპით, ქუჩაში გამვლელებისთვის მეკითხა, რა პროფესიის არიან და, თავის დროზე, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რამდენად ჰქონდათ არჩევანის თავისუფლება. რესპონდენტების უმრავლესობამ არ ისურვა სახელისა და გვარის საჯაროდ გამხელა, რადგან, როგორც აღნიშნეს, შეიძლება, ეს მათი მშობლებისა და, ზოგადად, ოჯახის ბულინგის მიზეზი გახდეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვარღვევთ მათ უფლებას.

„მართალია, ვერ ვიტყვი, რომ მკვეთრად ჩაერია ოჯახი ჩემი პროფესიის არჩევაში, თუმცა, როცა რაღაცას ხშირად გიმეორებენ, ეს შენს გონებაში ილექება და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ გავლენის მსხვერპლი ხარ. სულ მინდოდა, მსახიობი ვყოფილიყავი, წარმოვიდგენდი, ხოლმე, როგორ გავდივარ სცენაზე, როგორ ინთება შუქი და ვიკარგები საოცარ ლაბირინთებში, საიდანაც მაყურებლის მხურვალე ტაში მაფხიზლებს. სცენარებსაც ვწერდი, მახსოვს, ერთი სცენარი გოგოზე იყო, რომელიც ადრეულ ასაკში, როგორც ჩვენთან იტყვიან და მე სასტიკად არ მიყვარს ეს სიტყვა, გაათხოვეს. დიახ, გაათხოვეს, გულით გაიხარეს მშობლებმა, აქაოდა, შვილი „დავაკარეთო“, მაგრამ იმაზე არ უფიქრიათ, როგორ გაუფერულდა, დაჭკნა, გაბანალურდა მათი შვილი, როგორ ჩაქრა მის თვალებში ბედნიერების სხივი. ჰო, ჩემს სცენარს ტრაგიკული დასასრული აქვს, ყველაფრისგან დაღლილი გოგო ერთ მშვენიერ დღეს თვალებს ხუჭავს და ქრება... გამიგრძელდა, იმას ვამბობდი, რომ აუცილებელია ყველა არჩევანი რომელსაც ადამიანი აკეთებს, დამოუკიდებელი იყოს. მითხრეს, რომ მსახიობი თუ გავხდებოდი, შიმშილით მოვკვდებოდი, რადგან ის არ იყო პერსპექტიული პროფესია. ბებიაჩემი იმასაც ხშირად „მაწვეთებდა ყურში“, რომ ყველა მსახიობს სახელი „გაფუჭებული“ აქვს და მის ოჯახში, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს ბათუმში, არ უნდა გაფუჭებულსახელიანი ჰყავდეს ვინმე. მოკლედ, ასე გავხდი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რომლის მიმართაც დღემდე ვერ გამოვიმუშავე მიმღებლობა. დღეს სულ სხვა პროფესიაში ვარ და სადაც ვარ, მგონია, სწორედ იქ უნდა ვყოფილიყავი, ხელოვნება არის ის სფერო, რომელშიც თავს ბედნიერად ვგრძნობ. მეც დედა ვარ და მინდა, ყველა მშობელს ვთხოვო - მიეცით შვილებს არჩევანის თავისუფლება და ისინი თავად მივლენ ბედნიერებამდე“.

„ახლა რასაც გეტყვით სასაცილოა, ბავშვობიდან ტექნიკური მიმართულებით ძალიან ყოჩაღი ვიყავი, მთელს სოფელში, ვისაც რაიმე გაუფუჭდებოდა, ყველა მე მეძახდა შესაკეთებლად. მინდოდა, აღნიშნული მიმართულებით წავსულიყავი, მაგრამ არაო - მამამ, ეგღა მაკლია, ამდენი გასწავლე და ტექნიკოსი იყოო. მეზღვაური გავხდი, მიყვარს ის პროფესია, რაც მირჩიეს ოჯახში, პარალელურად კი იმ საქმესაც ვაკეთებ გემზე, რაც ბავშვობიდან მეხერხებოდა. ასე რომ, მგონი, ძალიან არ დავკარგულვარ პროფესიაში და სასაყვედუროც არავისთან მაქვს. პირიქით“.

„მეთერთმეტე კლასში ვარ და გადაწყვეტილი მაქვს ტურიზმის მიმართულებით ჩაბარება. ოჯახში პატივს სცემენ ჩემს არჩევანს. ვფიქრობ, ჩემი თაობის ახალგაზრდებზე ნაკლებად ახდენენ გავლენას უფროსები, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით. ზოგადად, მიმაჩნია, რომ რჩევები, რეკომენდაციები კარგიც არის, რათა გააანალიზო, საკუთარ თავს დაუსვა კითხვა, რეალურად რა გსურს, რომელ პროფესიაში ხედავ შენს მომავალს. მთავარია, სადაც იქნები, ბოლომდე დაიხარჯო, პროფესიონალი იყო, რაც არის იმის გარანტია, რომ არ დარჩები უმუშევარი. მე ვისურვებდი უფრო კარგი განათლების ხარისხს ჩემს ქვეყანაში, რათა აქ მიღებული ცოდნით მოვახერხოთ შესაძლებლობების სწორად რეალიზება.“.

„ჩემს ახალგაზრდობაში, მაშინ როცა პროფესია უნდა ამერჩია, ძალიან პოპულარული იყო მასწავლებლობა. ავირჩიე კიდევაც, დავამთავრე წარჩინებით, თუმცა სკოლაში მუშაობის დაწყების შემდეგ მივხვდი, რომ არ მქონდა ბავშვებთან ურთიერთობის ნებისყოფა. რაღაც პერიოდი ძიებას მოვანდომე, თითქოს ვერსად ვპოულობდი ჩემს თავს, მაგრამ ბოლო 15 წელია საინჟინრო მიმართულებით ვმუშაობ და საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს. ამის მიუხედავად, მგონია, ჯერ კიდევ მისაგნები მაქვს ის პროფესია, რომელიც სრულ სიამოვნებას მომანიჭებს. არასდროს უნდა თქვა უარი თვითგანვითარებაზე, არასდროს უნდა იყო მიღწეულის ხიბლში, უნდა გახსოვდეს, რომ ის ყველაფერი, რაც ჯერ არ განგიცდია, წინ არის“.

„მშობლები მუსიკოსები არიან, მეც მქონდა სმენა და გადავწყვიტე, გავყოლოდი მათ პროფესიას, თუმცა მივხვდი, რომ ამ სიკაშკაშის გარდა, რომელიც ეკრანებიდან ჩანს, მუსიკა უდიდეს შრომას მოითხოვს, ყოველდღიურ რუტინას, რომელსაც შენი პროფესიონალიზმი უფრო და უფრო მაღალ ხარისხში აჰყავს. მივხვდი, რომ სიმღერა მეგობრებთან ერთად მსიამოვნებდა, მაგრამ სცენა არ იყო ჩემი. დღეს საქორწინო ღონისძიებების მოწყობასა და სრულყოფილად წარმართვაში ვეხმარები ადამიანებს და მეც მათთან ერთად ბედნიერი ვარ. კმაყოფილი მომხმარებლის ხილვაზე დიდი ადრენალინი არ მეგულება. უნდა ვიყოთ ის, ვინც ვართ და ვაკეთებდეთ იმას, რაც გვიყვარს. ცხოვრება ისედაც არ არის ხანგრძლივი, ამიტომაც მიმაჩნია, რომ უნდა იყო ბედნიერი აქ და ახლა“.

„ჩემს ოჯახს ძალიან უნდა უმაღლესი განათლება მივიღო, მეც ვთვლი, რომ ამაში ცუდი არაფერია, თუმცა მსურს, პროფესიულ კოლეჯში კულინარიის კურსზე ჩავბარო. მიყვარს კულინარია, თანაც ამ ბოლო დროს აღნიშნული მიმართულების გადაცემები ძალიან წინ წამოიწია და პოპულარული გახადა ეს პროფესია. ამან განაპირობა ისიც, რომ ოჯახშიც ხელს მიწყობენ, აღარ მეწინააღმდეგებიან და მეუბნებიან, რომ ჩემგან კარგი შეფმზარეული დადგება, რადგან გემრიელ კერძებს ვამზადებ. მინდა ჩემს თანატოლებს მივმართო: მთავარია, შენი არჩევანით იყო კმაყოფილი. დამერწმუნეთ, უმაღლესი განათლების დიპლომი გექნება თუ პროფესიული კოლეჯის, ის, რასაც აკეთებ, თუ არ გიყვარს, სხვა ყველაფერი რუტინაა, თავის წვალება და მეტი არაფერი“.

ჩვენი ბოლო რესპონდენტის სიტყვებიდან გამომდინარე, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება, რომელსაც მომავალშიც მივუბრუნდებით. დღეს, მშობლების უმრავლესობას სურს, შვილმა უმაღლესი განათლება მიიღოს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუმცა იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობს პროფესიული განათლება, კოლეჯები, რომელიც არაერთი მიმართულებით არანაკლებ ცოდნას აძლევს ადამიანებს. საქართველოში პროფესიული განათლების ჭრილში უამრავი გამოწვევაა. პირველ რიგში, შესაცვლელია საზოგადოების არასწორი დამოკიდებულება. ფაქტია, რომ პროფესიული განათლების იმიჯი და რეპუტაცია დღემდე დაბალია, ის მოიხსენიება როგორც მეორადი არჩევანი, თუმცა აღსანიშნავი და კარგად გასააზრებელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის განვითარება, მეტწილად, პროფესიულ განათლებაზე დგას. ამის მაჩვენებელი შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებია, რომლის 80 პროცენტი, სწორედ, აღნიშნულ სეგმენტს უჭირავს.

დასასრულ, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ პირებს გვინდა გაცნობოთ, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია უკვე დაიწყო და 22 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება ვებგვერდზე - https://vet.emis.ge/#/dashboard

თამაზ ბეჟანიძის ხსოვნას მიეძღვნა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის დამსახურებული არტისტი, საპატიო ბათუმელი, ღირსების ორდენის მფლობელი, ცნობილი ქორეოგრაფი თამაზ ბეჟანიძე კიდევ ერთხელ გაიხსენეს მისი მშობლიური - აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ წარმომადგენლებმა

საღამო დაიწყო თამაზ ბეჟანიძისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლით. „არსიანის“ მთავარმა ქორეოგრაფმა გიორგი ჭანიშვილმა მოკლედ გაიხსენა პედაგოგის, არაჩვეულებრივი ქორეოგრაფის ნაყოფიერი შემოქმედებთი გზა.

არაერთ ანსამბლში ცეკვავდა, მერე თავად ასწავლიდა ცეკვას აჭარაში მოქმედ სხვადასხვა ანსამბლში. ყველაზე მეტად დასამახსოვრებელია მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გაზაფხულისა“ (1976-2007 წლები) და ანსამბლ „ტბეთის“ (1997-2008 წ.) ხელმძღვანელობა, 2004 წლიდან გარდაცვალებამდე (2012 წელი), აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი იყო.

მან არაერთი ქორეოგრაფიული ნომერი დადგა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებში, მოსკოვის სახალხო ანსამბლებში „კოლხიდასა“ და „ივერიაში“, სომხეთის, კიშინიოვის ქორეოგრაფიულ აკადემიურ და სახალხო ანსამბლებში... საგასტროლო ტურნეებით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა, მიიღო სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატის წოდებები. წლების განმავლობაში იყო აჭარის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე...

თამაზ ბეჟანიძის ღვაწლზე ისაუბრეს მისმა აღზრდილებმა. შესრულდა არაერთი საცეკვაო ნომერი. სცენაზე ვიხილეთ „არსიანის“ უფროსი და უმცროსი თაობა.

- ისეთი ადამიანის ხსოვნის საღამოა, რომ მის ორგანიზებაში ყველა გულიანად ჩაერთო. გარდა იმისა, რომ ჩემი მასწავლებელი იყო, გამორჩეული გახლდათ თავისი პიროვნული თვისებებით, არისტოკრატული ბუნებით, იუმორით, მეგობრობით, მასპინძლობით. ქორეოგრაფიაში განსაკუთრებული ხელწერით გამოირჩეოდა. ამ პატარა ქანდაკებით, სადაც მისი ცნობილი მხარული მოძრაობაა გამოხატული, მივულოცეთ ოჯახს ეს დღე და სამახსოვროდ მის შვილიშვილს ანი იოსელიანს გადავეცით. შარშან პანდემიის გამო ვერ აღვნიშნეთ ბატონი თამაზის 80 წლის იუბილე. ძალიან მადლიერი ვარ მისი, ის ადამიანია, რომელმაც მაზიარა არა მარტო ქორეოგრაფიას, არამედ ცხოვრების დიდ სკოლას. ცხრა წლის ვიყავი, როცა პირველად შევასრულე ცეკვა „ქართული“, რომელიც მან შემასწავლა. სასცენო კარიერა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში დავასრულე. მთელი ჩემი წარმატება მას უკავშირდება, რასაც არასოდეს დავივიწყებ, - გვითხრა „არსიანის“ მთავარმა ქორეოგრაფმა გიორგი ჭანიშვილმა.

დარბაზმა იხილა თამაზ ბეჟანიძის დადგმული რამდენიმე ცეკვა, რომელიც მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. მომღერალმა აჩიკო გოგიტიძემ თბილად გაიხსენა თამაზ ბეჟანიძესთან ანსამბლ „გაზაფხულში“ ცეკვის პერიოდი, აღნიშნა, რომ მას დღემდე მისაბაძ პიროვნებად თვლის.

გიორგი ჭანიშვილის აღსაზრდელებმა, ქორეოგრაფიული ჯგუფის „პატარა არსიანელების“ მოცეკვავეებმა ანასტასია სამნიძემ და ნიკოლოზ დიასამიძემ ცეკვა „ქართული“ შეასრულეს, რომელშიც ნიჭიერი ქორეოგრაფის ხელწერას ამოიცნობდით.

- მიუხედავად იმისა, რომ ბაბუასთან ერთად დიდხანს ყოფნის საშუალება არ მომეცა, მაინც კარგად მახსოვს, როგორი არაჩვეულებრივი, თბილი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე იყო. ყოველთვის „ჩემი მხარე“ ეჭირა. ჩემთვის ძალიან ემოციური დღეა, დიდი მადლობა ორგანიზატორებს და მობრძანებულ სტუმრებს ამ საღამოსთვის, - თქვა მისმა შვილიშვილმა ანი იოსელიანმა.

კელი დეგნანი - ხულოში

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი ხულოს ეწვია. საქართველოს პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოს და ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ელჩი ხულოში მომუშავე მეწარმე ქალებს შეხვდა და მათ საქმიანობას გაეცნო

იზოლდა სურმანიძე წლების განმავლობაში ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში საქმიანობდა. ახლა ცნობილი მეწარმეა. მან ჩანდლერის ჯიშის კაკალი, ლურჯი მოცვი, სტერლის ჯიშის ქლიავი გააშენა. საოჯახო სასტუმრო «სხალთის» მეპატრონეა. ნინო ზოიძე ფუტკარს უვლის, რიმა ბოლქვაძე საოჯახო სასტუმროს «რიმას სახლის» მფლობელია. თანამედროვე აპარატურა იმ სილამაზის სალონს ამშვენებს, რომელიც ხულოში ამილინა დეკანაძემ გახსნა. დიოკნისელ ლეილა ბოლქვაძეს 5000 კვადრატულ მეტრზე ჟოლო აქვს გაშენებული და ბარაქიან მოსავალს ელოდება. მაია სურმანიძეს 3000 კვადრატულ მეტრზე ჰოლანდიური ვარდი მოჰყავს. ელჩმა მათთან შეხვედრისას ქალთა უფლებების დაცვაზე, მათ მმართველობით ორგანოებში ჩართულობაზე, ბიზნესთან დამოკიდებულებაზე გაამახვილა ყურადღება. ხულოელ მეწარმე ქალებთან შეხვედრას საოსას დამფუძნებელი ლია ფუტკარაძე ესწრებოდა.

- მეწარმე ქალების საქმიანობით საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებიდან მხოლოდ ქალბატონი კელი დეგნანი დაინტერესდა, - გვითხრა იზოლდა სურმანიძემ, - ერთხელ კიდევ წარმოჩნდა იუსაიდის თანადგომა, ითქვა იმ მუშაობაზე, რასაც ეს ორგანიზაცია ეწევა.

ხულოში საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოებისა და მისი წიგნადი ფონდის გამდიდრებისთვის მიზანმიმართულ მუშაობას ეწევიან. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და კულტურის ცენტრის დირექციასთან ერთად, თვალსაჩინოა ხულოს კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო განყოფილების ხელმძღვანელ ლია ბოლქვაძის საქმიანობა. მისი ინიციატივით, სახელწოდებით «თემის ელჩების» ხუთი პროექტი განხორციელდა. მან ბათუმის ამერიკულ კუთხესთან ერთად, ხულოში პროექტი «ახალგაზრდული პლატფორმა» წამოიწყო. გააგრძელა თანამშრომლობა ამერიკის საელჩოსთან და «ახალგაზრდული პლატფორმა» «ამერიკულ თაროდ» გადააკეთა. ელჩმა თარო გახსნა და განაცხადა, რომ თანამშრომლობა გაგრძელდება.

- ჩვენთან ამერიკის საელჩოს საკუთარი სივრცე აქვს. იმედია, გაგრძელდება შემეცნებითი, საგანმანათლებლო, კულტურული პროექტები, რაც სასიკეთოდ წაადგება ხულოელი ახალგაზრდების მომავალს, - თქვა ლია ბოლქვაძემ.

კელი დეგნანი ხულოს სახელმწიფო პროფესიულ თეატრში იმ მოსწავლეებს შეხვდა, რომლებიც თეორიულ-შემეცნებითი ცოდნის დონეს რონდელის ფონდის ხელშეწყობით იმაღლებენ. 21 სკოლის 160 უფროსკლასელი სარგებლობს ამ ფონდის სიკეთით. ელჩი გაესაუბრა მოსწავლეებს, დადებითად შეაფასა მათი მომზადების დონე.

- ხულოში, საქართველოში მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის - აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს კელი დეგნანს ვუმასპინძლეთ. ვისაუბრეთ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებასა და იმ მიღწევებზე, რომლებსაც უკვე 30-წლიანი ისტორია აქვს. ვიზიტი ხულოში აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავი ტურნეს ფარგლებში გაიმართა, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

«ღმერთი რომ გაძლევს და არ მოიხმარ, ყველაზე დიდი ცოდვაა»

ზურაბ ფუტკარაძე იმ სოფლის მკვიდრია, რომელიც მალე დაარსების საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს. ბაბუამისი ისლამ ფუტკარაძე ერთი იმათგანი იყო, ვინც პაპოშვილებში განვითარებულ მეწყრულ პროცესებს განერიდა და გორში დასახლდა. ზურაბი სოფლის ისტორიასა და საკუთარ ბიზნესზე გვესაუბრება

- დაწყებითი განათლება გორში მივიღე, შემდეგ ოლადაურის საშუალო სკოლაში გავაგრძელე სწავლა. შესანიშნავი კლასი გვყავდა. სკოლამ, პროფესიონალმა პედაგოგებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს ცხოვრების სწორ გზაზე ჩვენს დასაყენებლად. დღემდე მახსოვს შოთა მიქელაძის გაკვეთილები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ოთარ მაკარაძის - ისტორიაში, ვახტანგ მაკარაძის - გეოგრაფიაში, ნუგზარ მაკარაძის - უცხო ენაში, გივი როდინაძის - მათემატიკაში. უფალმა თითოეულ მათგანს სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს.

- რატომ აირჩიეთ ბიზნესი?

- ცხოვრების დიდ სარბიელზე მაშინ დავდექი, როცა ქვეყანაში არეულობა და ქაოსი იყო. დედ-მამა ოჯახს ფიზიკური შრომით - თამბაქოს მოვლა-მოყვანითა და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით არჩენდნენ. ოჯახს ისედაც უჭირდა და კიდევ ხურჯინივით ვერ ჩამოვეკიდებოდი. ბათუმი იქცა ჩემი მომავალი საქმიანობის ასპარეზად, სადაც არც ბინა მქონდა და არც ქირის თანხა. ვხედავდი, როგორ იმკვიდრებდნენ დიდ ბიზნესში ადგილს თანახეობელი ლევან ქიძინიძე, ედუარდ ფუტკარაძე, ვლადიმერ, ზურაბ მახარაძეები, ილია თურმანიძე, ელგუჯა მაკარაძე. არც ის დამრჩენია შეუმჩნეველი, როგორ გამოუხურეს კარები ბიზნესს ჩემმა პარტნიორებმა. ყველაფერთან გამკლავება დიდი კონკურენციის ფონზე, ერთპიროვნულად მიწევდა, მეუღლეს ვუმადლი დიდ თანადგომას, ქალ-ვაჟის დედა შვილებსაც კეთილსინდისიერად ზრდიდა და გვერდითაც მედგა. ახლა ქვეყნის, რეგიონის ხელისუფლება ბიზნესმენებს რომ პატრონობს, ჩვენს ნაამაგარს ტერორი, გაკოტრების საფრთხე რომ არ ემუქრება, მაშინ ასე არ იყო. ბევრს არაფრის გამო წილების მიღება სურდა. საკუთარი თავის, ქვეყნის, ოჯახის სიყვარულის ფასად ყველაფერს გავუძელი. განვლილ გზას გონებაში რომ გადავხედავ, მიკვირს, ის შემოტევები როგორ დავძლიე.

- საქმიან პარტნიორად, ქველმოქმედ ბიზნესმენად, მზრუნველ ადამიანად გიცნობენ.

- შეგონების - «რასაცა გასცემ - შენია, რაც არა - დაკარგულია», ერთგული ვრჩები. ბიზნესობიექტები ბათუმში და თბილისში გვაქვს. 250-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ფული ბევრს არაფერს ნიშნავს, ჩემთვის უდიდესი საჩუქარია ის მადლობა, რომელსაც ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი პედაგოგები და მოსწავლეები მიხდიან. ვიცი გაჭირვების და დალხინების ფასი. არიან ოჯახები, რომლებსაც შშმ პირები, ქრონიკული ავადმყოფები ჰყავთ. მათი წევრების დასაქმება, ოჯახისთვის გარკვეული შემოსავლის გაჩენა მახარებს. სექტემბერში ბათუმში სავაჭრო ცენტრის ახალ შენობას გავხსნით, 450-მდე ადამიანი დასაქმდება.

- ასეთი საქმეების გაძღოლა იოლი არ იქნება?

- ბიზნესში მთავარი ნდობის ფაქტორია. პირველ რიგში, ძმას ვენდობი, შემდეგ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ჩემი შემწეობით ამ ორომტრიალში არიან ჩართულნი. ცხოვრებამ კი მაწვალა, მაგრამ ბევრიც მასწავლა - ბიზნესში «შავი ხვრელები» თუ გაჩნდა, ყველაფერი განწირულია.

- შვილიც თქვენთან საქმიანობს?

- შვილი - გოგი ფუტკარაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის მრჩეველია. მისი პოზიცია ამჯერად საჯარო სამსახურში ყოფნაა. ამ გზით ქვეყანას, ოჯახს მეტ სარგებელს მოუტანს. საზოგადოებაში საკუთარი ადგილი ქალიშვილსაც აქვს.

- მშობლიურ შუახევში არცერთ ღონისძიებას ყურადღების გარეშე არ ტოვებთ, ხშირად მატერიალურ თანადგომასაც არ ივიწყებთ.

- ეს იმ დიდი სიყვარულისა და ურთიერთობის გამოძახილია, რომელიც მეგობრებთან მაკავშირებს. ყოფილი გამგებელი და მერი ტარიელ ებრალიძე და ფრიდონ ფუტკარაძე თანახეობელები და ჩემი თაობისანი არიან. საქმიანი ურთიერთობები მაქვს ახლანდელ მერ ომარ ტაკიძესთან. ამაგს მიფასებენ. წელს გამართულ «მარეთობის» სახალხო დღესასწაულზე «ხეობის წარმატებული ბიზნესმენის» დიპლომი რომ გადმომცეს, თანადგომის დასტურად მივიჩნიე. მიხარია, სოფლების, დაბის ცენტრების კეთილმოწყობა. სულ მალე შუახევს გარემონტებული კულტურის სახლი და თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფეხბურთის მოედანი ექნება, სადაც ბათუმის «დინამოს» ფეხბურთელებიც გამართავენ საწვრთნელ ვარჯიშებს. ამ საქმეების ინიციატორები ჩემი შუახეველი მეგობრები არიან.

- მეგობრები, ბიზნესპარტნიორები ქვეყანასა და უცხოეთშიც მრავლად გყავთ?

- დიდი ბიზნესი კარგი მეგობრობითა და ნდობაზე დამყარებული პარტნიორობით იწყება. სიტყვის კაცი ვარ, რაც ცხოვრების წესად მაქვს ქცეული, როგორც კი უცხოელ პარტნიორებთან საერთო ენა გამოვნახე, ქართული სუფრის მადლიც არ მოვაკელი. მათ უკვე კარგად იციან, რომ სუფრას, სადღეგრძელოს დიდ როლს ვანიჭებ. ის თესლი, რომელიც მეგობრობის ფასად ჩაიყარა, უკვე გემრიელ ნაყოფს იძლევა.

- მეგობრების, ახლობლების ხსოვნას გამორჩეულ პატივს მიაგებთ...

- პირველ რიგში, თანაკლასელ ფრიდონ ქარცივაძის, მეზობელი სოფლის მკვიდრის შოთა მახარაძის მოულოდნელი გარდაცვალება ჩემთვის დიდი ტკივილი იყო. ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად, მეც ვიყავი მომხრე ფრიდონის (როინის) უკვდავსაყოფად წიგნი დაწერილიყო, რომელიც უკვე სამზეოზეა. რამდენიმე შუახეველი ვცდილობთ, შევეხიდოთ გაზეთ «შუახევს», რომელიც შოთა მახარაძემ დააფუძნა. ნაჭივრზე ხსოვნის მემორიალი რომ გაკეთდა, გულით მიხარია. იგი ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომრებს ეძღვნება. იქვე ფრიდონ ქარცივაძის ხსოვნის უკვდავსაყოფადაც ეწყობა ობიექტი. კიდევ მეტია გასაკეთებელი. ამ ეტაპზე თითოეული ჩვენგანის საქმიანობა ტურიზმის განვითარებასთანაა კავშირში. რაც მეტი მემორიალი, ისტორიული ძეგლი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი გვექნება, მით მეტ ტურისტს მოვიზიდავთ. მარეთის ხეობაში ისტორიული ძეგლები მეტ მზრუნველობას ითხოვს. თქვენი გაზეთით ღვაწლი მსურს დავუფასო 60 წლის ასაკში წუთისოფლიდან წასულ ცნობილ პოლიტიკოსს, მეცნიერს, ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძეს. მან სიცოცხლის ბოლო წელს რამდენიმე მივიწყებული ობიექტი წარმოაჩინა. ეკლესიების ნანგრევები, თუნდაც, სანალიას მთაში არსებული კილდიჯვრის გამოქვაბულები ყურადღებას საჭიროებს. იქ სამანქანე გზის გაყვანა დიდ თანხებთან არ იქნება დაკავშირებული. ხეობის ღირსეული ადამიანების საქმე და სახელი რომ ვაცოცხლოთ, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. დავიწყებას არ უნდა მიეცეს ოლადაურელი არჩილ მაკარაძის ღვაწლი. იგი ოლადაურში მუზეუმის დაარსების ინიციატორი იყო. კილდიჯვრის გამოქვაბულების აღმოჩენაც მას და ვახტანგ მაკარაძეს უკავშირდება.

- მშობლიური გორისთვისაც ბევრი გაქვთ გაკეთებული.

- ალალი იყოს ყველასთვის ყველაფერი. სჯობს სოფლისთვის გაკეთებულ საქმეებზე სხვებმა ისაუბრონ. როცა ხარ სოფელში, მეზობლებზე უნდა იზრუნო.

- რაა მთავარი ღირსეული კაცის სახელის დასამკვიდრებლად?

- ბევრი საქმე და ცოტა ლაპარაკი. ყველაზე დიდი ბარომეტრი სოფლის წყარო და ორღობეა. იქ უნდა გქონდეს შენი ადგილი. მე იმ ადამიანებთან ყოველთვის ვალში ვარ. ფეხზე წამომდგარნი რომ მესალმებიან, ბებია-ბაბუის თანატოლები ჭიშკარს რომ გადმოდიან და მეფერებიან, სწორედ ისინი არიან ღირსეულები.

- ქველმოქმედება, გაჭირვებულის თანადგომა ყოველთვის ამართლებს?

- კი, თუმცა უმადურებიც ამძიმებენ ქვეყანას. გორში სასმელი წყალი სანატრელი იყო - გამოგვიყვანეს, წვიმიან ამინდში პაპოშვილებიდან სოფლამდე დაბალი გამავლობის ტრანსპორტს მოძრაობა უჭირდა - გზაზე ბეტონის საფარი დააგეს, მოაშანდაკეს, სკოლის მოძველებული შენობა ახლით ჩაანაცვლეს, ღამით სოფელი ლამპიონებით განათებულია. მთა ჩირუხშიც დენი გაიყვანეს, მოასფალტებული გზაც მიდის. ეს თავისით არ მოსულა. ზოგიერთები ამაგს არც უფალს უფასებენ და არც ხელისუფალს. გული მწყდება, ოჯახს ნახირში ძროხა რომ არ დაუდის, საყანე ნაკვეთი ეკალბარდით რომაა დაფარული. ღმერთი გაძლევს და რომ არ მოიხმარო, ყველაზე დიდი ცოდვაა. ზოგიერთები შემოსულ ხეხილსაც აღარ კრეფენ.

- ასეთ დროს ხმა ვინ უნდა აღიმაღლოს?

- ერმაც და ბერმაც. გამონათლევში თანახეობელ სოლომონ ფუტკარაძის ინიციატივით, ჩვენი თანადგომით, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი გვაქვს. ადამიანებმა ტაძრებსა და სამლოცველოებში უნდა იარონ, უფალი იწამონ. მორწმუნე ადამიანები ოჯახსაც არგებს და ქვეყანასაც. საინტერესოა, რომ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება, დიდია დეკანოზ გიორგის (ფუტკარაძე) ღვაწლი. იგი ჩვენი თანახეობელია. კარგად იცის აქაურების ისტორია, მათი როლი ცეცხლითა და მახვილით წართმეული მრწამსის დაბრუნებაში.

- რა არის მთავარი ქართული ბიზნესი რომ განვითარდეს?

- ცოდნა, ერთგულება, რწმენა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

საქართველოს ისტორიაში პირველად... ორ დაცულ ტერიტორიას ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიენიჭა

UNESCO-მ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ნომინაცია შენიშვნების გარეშე დააკმაყოფილა. ინფორმაციას ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

„UNESCO-მ „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ (დედოფლისწყარო) და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ (თუშეთი) აღიარა და ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო ნუსხაში შეიტანა. გადაწყვეტილება პარიზში, UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 34-ე სესიის ფარგლებში მიიღეს. UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის სამდივნომ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ნომინაცია შენიშვნების გარეშე დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში დღემდე არცერთ ტერიტორიას არ ჰქონდა. „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ წარმოადგენს პირველ პრეცედენტს რეგიონის მასშტაბით.

პარიზში გამართულ საბჭოს სხდომას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ ხახიშვილი ესწრებოდნენ.

ბიოსფერული რეზერვატი არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბუნების კონსერვაციისა და მდგრადი მიწათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დასანერგად. ბიოსფერული რეზერვატი ხელს უწყობს მდგრად რეგიონულ განვითარებას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ასრულებს მნიშვნელოვან როლს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების კუთხით. იზრდება დაინტერესება ორგანული პროდუქციის წარმოების კუთხით, რაც პირდაპირ კავშირშია მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბიოსფერული რეზერვატის შექმნა ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის გაზრდის დიდ შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში ბიოსფერული რეზერვატის დაარსების და განვითარების პოტენციალის შესწავლა 2015 წლიდან მიმდინარეობდა. პრიორიტეტი მიენიჭა კახეთის რეგიონს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ბიოსფერული რეზერვატის განვითარებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

UNESCO-ში წარსადგენად ნომინაციების მომზადება გერმანიისა მთავრობის, ზუკოვის ფონდის, GIZ-ის და ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით, კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) თანამშრომლობით განხორციელდა, 2021 წლის დეკემბერში კი „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატისა“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის“' სრული დოკუმენტაცია, საქართველოს მთავრობის სახელით, UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ სამდივნოში გაიგზავნა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

„დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატისა“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის“ საერთაშორისო აღიარება დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის განვითარების ახალ შესაძლებლობებს გააჩენს. ამ ისტორიული შედეგისთვის ჩვენ 2015 წლიდან ვმუშაობდით. მადლობას ვუხდი ძალისხმევისთვის პროექტში ჩართულ თითოეულ სახელმწიფო უწყებას, აგრეთვე ჩვენს საერთაშორისო მეგობრებსა და პარტნიორებს“, - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამირან გურიელიძე

ევროკავშირმა ისრაელსა და ეგვიპტესთან ბუნებრივი აირის ექსპორტზე დროებით შეთანხმებას მოაწერა ხელი

ამის შესახებ ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს. მისი ცნობით, აღნიშნული ევროკავშირის ძალისხმევის ნაწილად განიხილება, რათა ბლოკმა საკუთარი ენერგოდამოკიდებულება რუსეთთან დაასრულოს.

შეთანხმება მნიშვნელოვნად გაზრდის ისრაელის ბუნებრივი აირის ექსპორტს ეგვიპტეში, სადაც მისი გათხევადება და შემდგომ ევროპის ბაზრებზე გაგზავნა იქნება შესაძლებელი. როგორც მედია წერს, ისრაელს მინიმუმ ერთი ტრილიონი კუბური მეტრი გაზის მარაგი აქვს. ამჟამად ევროპისკენ გაზის მიწოდების ორი მარშრუტი განიხილება - ეგვიპტე და თურქეთი. „ეს ევროპისთვის ენერგომომარაგებაში დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, ისევე როგორც ეგვიპტისთვის, რათა ის რეგიონალური ენერგეტიკული ცენტრი გახდეს“, - განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

ამირან გურიელიძე

ჩაბჟირება - საშიშია თუ არა იგი?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ბავშვი ტირის ტკივილის, შიშის ან ბრაზის გამო. შუა ტირილში სუნთქვა ეკვრის, ფითრდება ან ლურჯდება, გონებას კარგავს. ეს ქცევის დარღვევა არ არის, უნებლიე მდგომარეობაა, ბავშვი ამ დროს თავს ვერ აკონტროლებს

ჩაბჟირება უმეტესად 1 წუთზე ნაკლებ ხანს გრძელდება, კრუნჩხვას წააგავს, მაგრამ ელექტროენცეფალოგრამაზე კრუნჩხვისთვის დამახასიათებელი სურათი არ აისახება, ამიტომ არ სჭირდება ბავშვს კრუნჩხვის სამკურნალო მედიკამენტები. ჩაბჟირება აღენიშნება ბავშვების 4-5%-ს, უპირატესად გოგონებს. პირველად თავს იჩენს 6-18 თვის ასაკში. 2 წლიდან მისი განვითარების რისკი უმნიშვნელოა. 7 წლისთვის ჩაბჟირების ეპიზოდები წყდება.

მტირალი ბავშვი უეცრად წყვეტს ხმების გამოშვებას და სუნთქვა უკავდება, ჰაერს გარეთ უშვებს, არ ჩაისუნთქავს. იმის მიხედვით, ბავშვი ფითრდება თუ ლურჯდება, განასხვავებენ ჩაბჟირების ფერმკრთალ და ციანოზურ ეპიზოდებს. ეს უკანასკნელი უფრო ხშირია, არის შერეული ტიპიც - ორივე ფერი ედება ბავშვს.

ციანოზური ეპიზოდი უმეტესად მაშინ ვითარდება, როდესაც ბავშვი იმედგაცრუებულია ან ბრაზობს. ამ დროს ის ხმამაღლა იწყებს ტირილს, 15 წუთში კი უეცრად ჩუმდება, სუნთქვას წყვეტს და ლურჯდება, რასაც ხშირად გონების დაკარგვაც მოსდევს. ბავშვი თითქოს ხევდება და ირკალება. ეს მდგომარეობა 1 წუთამდე გრძელდება. მერე სუნთქვა თანდათან ხშირდება და ბოლოს მწყობრში დგება. გონს მოსული ბავშვი დაღლილობას გრძნობს.

ფერმკრთალი ეპიზოდი უმეტესად გამოწვეულია უეცარი შიშით ან ტკივილით. ეპიზოდი იწყება იმით, რომ ბავშვს სუნთქვა უხშირდება და ოდნავ წამოიტირებს. შესაძლოა, მხოლოდ პირი გააღოს, თითქოს ტირილს აპირებსო, მაგრამ ხმას არ გამოსცემს. თუ ატირდა, ესეც რამდენიმე წამს გაგრძელდება, შემდეგ ბავშვი ფერს კარგავს და გული მისდის. ზოგჯერ ამ დროს შესაძლოა, ოფლმაც დაასხას, გახევდეს, უნებლიეთ აამოძრაოს კიდურები ან მოშარდოს.

ფერმკრთალი ეპიზოდიც წუთზე ნაკლებ ხანს გრძელდება. გონს მოსული ბავშვი რამდენიმე საათს მოთენთილია. სხეულის გახევებას ან უნებლიე მოძრაობებს რეფლექსურ ანოქსიკურ კრუნჩხვებს უწოდებენ. ეს არ არის ეპილეფსიური კრუნჩხვა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა. ჩაბჟირების კრუნჩხვები გამოწვეულია გულისცემისა და სისხლის წნევის მკვეთრი დაქვეითებით, რის გამოც ტვინისთვის სისხლის მიწოდება ერთბაშად იკლებს.

ყველა ბავშვს ჩაბჟირება სხვადასხვა სიხშირით ახასიათებს, ზოგს - დღეში რამდენჯერმე, ზოგს - წელიწადში ერთხელ. რა სიხშირითაც არ უნდა ბჟირდებოდეს ბავშვი, ეს მის ტვინს ზიანს არ მიაყენებს და არც ეპილეფსიის განვითარების რისკს გაზრდის. თითქმის ნულის ტოლია შანსი, ჩაბჟირება დეტალურად დასრულდეს.

ძლიერი სტრესი - ბრაზი, შიში, ტკივილი - ანელებს გულისცემას და აქვეითებს სისხლის წნევას, რასაც გონების დაკარგვამდე მივყავართ. ანემიური ბავშვები უფრო ხშირად ბჟირდებიან, განსაზღვრულ როლს ასრულებს გენეტიკაც - ხშირია, როდესაც ოჯახის რამდენიმე წევრს აწუხებს ეს პრობლემა.

დიაგნოსტიკისთვის ექიმისთვის საკმარისია მშობლის მონათხრობიც კი, შესაძლებელია ეპიზოდის კამერით ჩაწერაც, რათა ექიმმა უკეთ აღიქვას, რას აკეთებს ბავშვი ამ დროს. თუ ჩაბჟირებული ბავშვი კანკალებს და ეს 2 წუთზე მეტხანს გრძელდება, იღებენ ელექტროენცეფალოგრამას კრუნჩხვის და ეპილეფსიის გამოსარიცხად. სისხლის საერთო ანალიზით მოწმდება, ანემია ხომ არ აქვს ბავშვს, რადგან ანემიის მკურნალობა შეამცირებს ჩაბჟირების სიხშირეს.

ჩაბჟირებას მკურნალობა არ სჭირდება, მაგრამ რამდენიმე მარტივი წესი უნდა დავიცვათ:

ჩაბჟირებულ ბავშვს თავი გულის დონეზე მაღლა არ უნდა ედოს, რათა ტვინისთვის სისხლის მიწოდება იოლად აღდგეს;

გულწასულს ხელში ნუ აიყვანთ, იწვეს, სანამ გონს მოვა, უმჯობესია, გვერდზე. თუ ბავშვი 3 წუთზე მეტია უგონოდ და არც სუნთქვა აღუდგა, ხელოვნური სუნთქვა უნდა ჩატარდეს;

თუ ბავშვს დღეში რამდენჯერმე უმეორდება ჩაბჟირების ეპიზოდები, რკინის პრეპარატის მიღება აუცილებელია, თუნდაც არ ჰქონდეს ანემია, ეს გააიშვიათებს ჩაბჟირების სიხშირეს.

შეშინებულმა მშობლებმა, ბავშვი არ გაბრაზდეს და არ ჩაბჟირდესო, პატარას ყველა ახირება არ უნდა შეუსრულონ, რათა ქცევის დარღვევა არ ჩამოუყალიბდეს. მშობლებს უნდა ახსოვდეთ: მიუხედავად იმისა, რომ მძიმე საყურებელია, ჩაბჟირება ბავშვს მალე გაუვლის, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რამდენიმე წელიწადში ეს ამბავი აღარავის ემახსოვრება.

უკრაინა

სუმის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დმიტრო ჟივიცკის ინფორმაციით, 15 ივნისის დილით რუსულმა ჯარებმა სუმის რეგიონის შალიჰინეს დასახლებას ცეცხლი ნაღმმტყორცნებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან გაუხსნეს. „შალიჰინეს დასახლებაში მტერმა ნაღმმტყორცნებიდან ცეცხლი გახსნა დაახლოებით 07:30 საათზე. 8 ჭურვი ჩამოვარდა დაახლოებით 09:00 საათზე დასახლებულ პუნქტთან. რუსებმა ყუმბარმტყორცნიდან ორი გასროლით ავტომობილის განადგურება სცადეს“, - წერს ჟივიცკი. მისივე თქმით, მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ არის.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, ბოლო ერთი დღის განმავლობაში დონბასში მიმდინარე ბრძოლაში მკვეთრი ცვლილებები არ მომხდარა. „ყველაზე სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობს სევეროდონეცკში და მიმდებარე ყველა ქალაქსა და თემში. დანაკარგები, სამწუხაროდ, მტკივნეულია, მაგრამ მედგრად უნდა ვიდგეთ. დონბასში არდანებება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტ დანაკარგს განიცდის იქ მტერი, მით ნაკლები ძალა ექნება აგრესიის გასაგრძელებლად, ამიტომ, დონბასის მიმართულება გადამწყვეტია იმისთვის, თუ ვის ექნება უპირატესობა უახლოეს კვირებში. მტკივნეული დანაკარგები გვაქვს ხარკოვის ოლქში, სადაც რუსული არმია პოზიციების განმტკიცებას ცდილობს. ბრძოლები ამ მიმართულებით გრძელდება და ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლა გვიწევს ხარკოვისა და რეგიონის სრული უსაფრთხოებისთვის, - აღნიშნა ზელენსკიმ, - მთავარი მიზანი ხერსონის გათავისუფლებაა და ჩვენ ამ მიმართულებით ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ“.

* * *

რუსული ძალების მიერ დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ აპოსტოლოვოს დაბომბვის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა, - უკრაინული მედიის ცნობით, ამის შესახებ აპოსტოლოვოს მერმა, ანდრეი ოსამ Telegram-ში დაწერა. „ქალაქი აპოსტოლოვო მტრის „ურაგანებით“ დაბომბეს. არის ოთხი დაღუპული“, - განაცხადა მან. ანდრეი ოსას ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის და პოლიციის თანამშრომლები მუშაობენ. მერმა მოსახლეობას მოუწოდა, სიფრთხილე გამოიჩინონ და ლითონის ნივთებს არ შეეხონ.

* * *

ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მძიმე ბრძოლის შედეგად, რუსული ძალები სევეროდონეცკის უმეტეს ნაწილს აკონტროლებენ. რუსეთის ომის ტაქტიკამ, რომელიც ეყრდნობა მძიმე არტილერიის გამოყენებას, მთელ ქალაქში დიდი ზარალი გამოიწვია, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშშია აღნიშნული. „უკრაინის შეიარაღებული ძალების ელემენტები, რამდენიმე ასეულ მშვიდობიან მოქალაქესთან ერთად, ქალაქის ინდუსტრიულ ზონაში მდებარე „აზოტის“ ქიმიურ ქარხანაში მიწისქვეშა ბუნკერებს აფარებენ თავს“, - აცხადებენ უწყებაში. თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, რუსული ძალები, სავარაუდოდ, განლაგდებიან „აზოტსა“ და მის გარშემო, ხოლო უკრაინელ მებრძოლებს შეუძლიათ მიწისქვეშა თავშესაფრებში დარჩენა. უწყებაში ვარაუდობენ, რომ ეს დროებით ხელს შეუშლის რუსეთს, ამ ქვედანაყოფებს საბრძოლო ამოცანების სხვა ადგილებში განხორციელება დაავალოს. ამასთან, ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ რუსეთი უკრაინული ძალებისგან ასეთ მძლავრ წინააღმდეგობას არ ელოდა. „ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთი თავდაპირველი შეჭრის დაგეგმვისას, ასეთ მძლავრ წინააღმდეგობას, ან ასეთ ნელ, გამომფიტველ კონფლიქტს მოელოდა“, - აღნიშნულია ანგარიშში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/06/22, 20 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ჟუჟუნა შაინიძე: ყველა შემოქმედი უცხოპლანეტელია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჟუჟუნა შაინიძე - ბუნებისგან მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ეს ბათუმელი ქალბატონი ინტელექტით, ერუდიციით, გონიერებითა და სულიერებით გამორჩეული მწერალი და მეცნიერია. მკითხველს მოსწონს მისი ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები და მეცნიერული გამოკვლევები (მონოგრაფიები ზურაბ გორგილაძესა და ლადო სეიდიშვილზე), რომლებშიც მკითხველს შესაძლებლობა აქვს, კიდევ ერთხელ გაიაზროს და გაითავისოს ბრძენთაგან თქმული: „პოეზია საგრძნობელ არს და არა საცნობელ“. ეს აზრი უფრო გაგიმყარდებათ, თუ ამ ინტერვიუს გაეცნობით.

- წარმატებული პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურის მკლევარი ხართ... მაინც, რომელ სფეროს ანიჭებთ უპირატესობას, თვითრეალიზაცია სად უკეთ შეძელით?

- უპირველესად, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ მე არ/ვერ მივიჩნევ თავს წარმატებულ ადამიანად, მით უმეტეს, შემოქმედად არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნებით პერფექციონისტი ვარ, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ სხვადასხვა გარემოების გამო, მთლიანად ვერ მივუძღვენი თავი შემოქმედებით მუშაობას. ხშირად ისეთ წვრილმანებს მიაქვს უდიდესი დრო და ენერგია, რომ აღარ ხერხდება ჩაღრმავება, კონცენტრირება, შემოქმედებითი განმარტოება თუნდაც. ვფიქრობ, თვითრეალიზაცია საერთოდ ვერ შეგძელი.

- „დრონი იცვლებიან და მათთან ერთად ვიცვლებით ჩვენც“ - ეს ლათინური ანდაზა სულ გვახსენებს თავს... რა შეიცვალა თქვენში?

- ზოგჯერ მაღიზიანებს საკუთარი თავი, რომ ვერ შევიცვალე. ვერ გავხდი გულგრილი, ისევ ისე მაშფოთებს ყველაფერი უმსგავსო და უფერული, ისევ ისე გამჭვირვალედ ვკითხულობ ადამიანთა სულებს, ნიღბების შიგნით მიჩქმალულ სახეებს და განწყობილებებს. ადამიანი ერთს რომ ამბობს და მეორეს ფიქრობს, იმასაც ვგრძნობ. უფრო გამძაფრებულად შევიგრძნობ სამყაროს უარყოფით ვიბრაციებს და თითქოს დაუცველი ვარ, მუდმივად დაუცველი ამ შეგრძნებებისგან, რის გამოც მეტია ტკივილი და ნაკლები - სიხარული.

- როცა განვლილ გზას გასცქერით... ანუ უყვარს სულს ტივტივი მოგონებათა შორის?

- ძალიანაც რომ გვინდოდეს, წარსულს ვერ წავშლით. ვცდილობ, მხოლოდ კარგი, სასიამოვნო მოგონებები ამოვატივტივო, სასიამოვნო განწყობილებები გადავიტანო ტექსტებში, მაგრამ ის მარადმოუცილებელი სევდა, იქნებ უმიზეზოც და მიზეზიანიც, მაინც ყონავს ყოველი სტრიქონიდან.

- თქვენი მონოგრაფიები ზურაბ გორგილაძესა და ლადო სეიდიშვილზე იმდენად საინტერესოა, რომ მკითხველი დღითი დღე მატულობს, მაგრამ... წიგნებს ვეღარ ნახულობენ მცირე ტირაჟის გამო. ვინ უნდა იზრუნოს მათ გამოცემაზე?

- რთული კითხვაა. პასუხი არ მაქვს. უფრო გულწრფელი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მე აღარ მსურს, ვინმეს თხოვნით მივმართო, ეს იმდენად დიდ უხერხულობას ქმნის. გამოსაცემი მაქვს სხვა მონოგრაფიებიც, რომლებზეც ერთდროულად ახლა ვმუშაობ, „ლიტერატურული წერილებიც“, წლობით რომ ვწერდი და ჯერჯერობით ერთ წიგნად აკინძვა ვერ შევძელი.

- თქვენს ბოლოდროინდელ პოეტურ კრებულებზე ვისაუბროთ. „გრამატიკა თევზებისათვის“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი სახისმეტყველებით, სათაურის ქარაგმა საჩინოვდება ლექსებში. შინაარსი და ფორმა ინოვაციურია, შთაგონება - უღრმესი... თავად როგორ დააკვალიანებთ მკითხველს?

- „გრამატიკა თევზებისათვის“ დუმილის ენის მეტაფორაა. ვიდრე თევზები დუმილის დიდ საიდუმლოში შესახლდებოდნენ და პირში წყალს ჩაიგუბებდნენ, ჩვენსავით იყვნენ სიტყვაუხვნი - ხსოვნამდელ დროში ამოდიოდნენ ოკეანის სიღრმეებიდან და მზის ჩასვლამდე კაცთა შორის ხმამაღლა ბჭობდნენ... ახლანდელ დროში გაწყვეტილია კავშირი ადამიანებსა და თევზებს შორის. ჩვენ აღარ გვესმის დუმილის ენა. ლექსების ამ ციკლში დაკარგული სიხარულისა და სილამაზის პოვნას ვცდილობ. მწამს, რომ ქრისტე რაბია, ხოლო გზა - მეტაფორაა, რომელმაც დაკარგული სულიერი სილამაზე უნდა გვაპოვნინოს.

- „ვარსკვლავები ბგერების გრაფიკული ნიშნებია, მირიადი ნიშნიდან მხოლოდ ერთში გაცხადდა სიტყვის დაბადების საიდუმლო“, - ასე ამბობთ. ნათელხილვას ჰგავს.

- სამყარო წიგნია, დაწერილი ფარული ნიშნებით. პირველი ადამი იყო, რომელიც ამ ნიშნების მიხედვით საგნებს სახელებს არქმევდა. ჩვენ დავკარგეთ ამ ნიშნების ამოცნობის უნარი. ჩვენ აღარ გვაქვს პირველადი ენის შეგრძნება. ჩვენთვის ერთხელ გაცხადდა ზეცა, რომელმაც სიტყვის დაბადების საიდუმლო გვამცნო და ვერ მივიღეთ ის დიდი ნათელი... სიხარული კი მხოლოდ სინათლეს მოაქვს, სიბნელე უსიხარულოა. ახლა სამყარო სრულ სიბნელეშია. ჩვენ უსიხარულო ეპოქაში ვცხოვრობთ.

- „ჩვენ დღემდე სიზმრების ენაზე ვლაპარაკობთ“. მხოლოდ პოეტები თუ...?

- რატომღაც მიიჩნევენ, რომ პოეტები სიზმრების ენით ლაპარაკობენ. პირიქით, დიდი პოეტები ყოველთვის გამოფხიზლებისაკენ, გაღვიძებისაკენ მოგვიწოდებენ („ოჰ, ღმერთო, ჩემო! სულ ძილი, ძილი...“), მაგრამ დღემდე ყველანი სიზმრების ენით ვლაპარაკობთ, რადგან ყველა ბგერა, რომელიც ჩვენამდე აღწევს, იმ სიზმრების არაზუსტი ანარეკლია, გალაქტიკის მიღმა კუპრივით შავი მზეები რომ ხედავენ, ოღონდ ხმამაღალ სიზმრებს. ჩვენი სამყარო იმ სიზმრების ექოა, ასლია, ილუზიაა. ჩვენ რომ ამ სიზმრებიდან გამოვფხიზლდეთ, საკუთარ არსებობას სხვა თვალით შევხედავდით, სხვანაირები ვიქნებოდით, ჩვენ კი ილუზიებში ყოფნა გვირჩევნია და მიწიერ არსებობას ვებღაუჭებით.

- „ამ წიგნში ვყვები შენი ყოფნის უცნაურ ამბავს“ - წერთ კრებულის ანოტაციაში. ლექსების ლირიკული გმირის მონოლოგები ამაში გვარწმუნებს. ამ წიგნს გამგები, ინტელექტუალური მკითხველი სჭირდება... სამწუხაროდ, ჩვენში გადამკითხველები სჭარბობენ.

- პოეტისათვის ერთი მკითხველიც კი დიდი ბედნიერებაა, რომელიც ისე აღიქვამს „მეტყველი სუბიექტის“ გზავნილს, როგორც ეს ადრესატს ჰქონდა ჩაფიქრებული. მაგრამ პოეზია ისეთი მოუხელთებელი ფენომენია, ზოგჯერ პოეტსაც არ ესმის საკუთარი ნათქვამის მნიშვნელობა, ან ისე დიდია „ინტენციალური ცდომილება“ ნაგულისხმევსა და ნათქვამს შორის, ერთი გინდა თქვა და სხვა გამოდის. ასე რომ, პოეზიის ინტერპრეტირება ძალზე რთულია. უმჯობესია, ესთეტიკურ სიამოვნებაზე გადავიტანოთ აქცენტი, მაგრამ რეალურად, აი, რა ხდება - მკითხველთა გარკვეულ ნაწილს ყველა სიტყვა თუ ფრაზა პირდაპირ ესმის ან უშუალოდ ავტორის პირად ცხოვრებას უკავშირებს, „ლირიკული მე“ კი ხშირად წარმოსახულს „გვიყვება“ და არა რეალურს.

- „ვერავინ მიუახლოვდება ჩემს ლექსებს, ვინც დაჟინებით მოინდომებს განიხილოს ისინი“ - ასე ამბობდა უოლტ უიტმენი. ცხადია, მხოლოდ თავის „ბალახის ფოთლებს“ არ გულისხმობდა... ახლა როგორც პედაგოგსა და ლიტერატურათმცოდნეს გეკითხებით: პოეტის გასაგებად და შეგრძნებისათვის უმთავრესი რა არის და როგორ უნდა ამაღლდეს ახალგაზრდების, საერთოდ, მკითხველის გემოვნება?

- დიახ, ეს კითხვა უშუალოდ უკავშირდება პოეზიის გაგების თუ ვერგაგების ან გაგების შეუძლებლობის პრობლემას. პოეტისა და მკითხველის შეხვედრა ემოციურ ველში უნდა მოხდეს და არა ლოგიკურ გააზრებაში. განცდა და თანაგანცდა, ლექსის მთლიანობის ესთეტიკური აღქმა არის მთავარი. ლექსი ჩვეულებრივი ტექსტი არ არის, რომ გააშინაარსო. მისი არსება არც ფურცელზეა, არც ასონიშნებშია და არც ცალკეულ ფრაზებში, ლექსი ემოციური მუხტია, ენერგიაა და თუ აღმქმელს აქვს მისი მიღების, შესრუტვის უნარი, დაიმუხტება ამ საოცარი ძალით, თუ არადა „გაუგებარი“ დარჩება.

- თქვენმა საიუბილეო პოეტურმა კრებულმა „ვინ-მე არა-ვინ“ მრავალთა მოწონება დაიმსახურა. ეს თავისუფალი ადამიანის განაცხადია ლირიკულ მოზაიკაში, მე ასე აღვიქვი, თავად რას იტყვით?

- რომ მკითხოთ, ვინ არის ეს „ვინ-მე არა-ვინ“, ვერ აგიხსნით. ის არის და არც არის, ყველაფერიცაა და არაფერიც, საჩინოც არის და უჩინარიც. ვერ ვხედავ და ვგრძნობ, რომ არის. მან შემაცნობინა შინაგანი თავისუფლება, პოეტური თავისუფლება, ჩემი წარმოსახული მეც მისითაა სავსე და ეს მაძლებინებს ამ გაუსაძლის ყოფაში. განსხვავებული სტილიც და ლექსის არქიტექტონიკაც მან მოიტანა. ამავე დროს ამ წიგნში ვერტიკალური სვლები მეტია, ვიდრე ჰორიზონტალური. ვერ ვიტყვი, რომ ამ ცდამ სრულყოფილება შემატა ჩემს სათქმელს, მაგრამ ყოველი ცდა საქმის ნახევარია.

- ამავე კრებულში თქვენს მცირე პოემაში „ცხად-სიზმრისა“ გალაკტიონის თვალით დანახულ მზესა და ბათუმურ წვიმას უცხო, ირეალური შარავანდედით მოსავთ... გალაკტიონი ცოცხლდება... ამ ციკლის გაგრძელებას ხომ არ აპირებთ?

- ეს პოემა წლების წინ შექმნილი ლექსის („მდვრიე სიზმარი“) გაგრძელებაა. მის შესახებ ბატონმა სოსო სიგუამ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნა, რომ „ტექნიკა კარგია, მაგრამ გალაკტიონის ხმააო“. ამან შთამაგონა „გალაკტიონის ხმით“ მესაუბრა ამ პოემაში და მისი თვალით ნანახი სამყარო წარმომესახა. ასე გადავედი რეალურიდან ირეალურ სამყაროში და შეიქმნა ლეგენდა გალაკტიონზე.

- „ნეტავი“ რომელ ყვავილნარში განვმეორდები, ამოვიზრდები რომელ ყვავილად? თქვენი ლირიკული გმირის ეს ფიქრი სიცოცხლის სიყვარულს აძლიერებს, ანუ ყვავილის მშვენიერება აღვიძებს სიკეთეს, ხომ?

- დიახ. ადრეულ ბავშვობაში, ყვავილებს ვესაუბრებოდი და მოსაწყვეტად ვერ ვიმეტებდი. პირველი ლექსებიც ყვავილებზე დავწერე. ყვავილებიანი მინდორი ვარსკვლავიანი ცის ანალოგიააო, ამბობს ერთი მეცნიერი. მართლაცდა, ცაზე ვარსკვლავებისა და მიწაზე ყვავილების გარეშე, წარმოიდგინეთ, რა ბნელი იქნებოდა სამყარო. მზეც ხომ დიდი ვარსკვლავია, ვარსკვლავყვავილი. იქნებ ყვავილებთან საუბრის უნარიც დავკარგეთ, აღარ/ვეღარ გვახარებს მათი სილამაზე?! ეს კითხვაც სილამაზით, სიკეთით, ყვავილებითა და მზით აღტაცების, მათთან საუბრის იდუმალი განცდის დაბრუნების სურვილია. მხოლოდ იმ ყვავილად განმეორებას ვინატრებდი, რომელიც სიკეთისაკენ შემოაბრუნებს კაცობრიობას.

- ბუნება ყველაზე დიდი პოეტია, არა?

- მაკრო და მიკროსამყაროები ერთნაირი კონსტრუქტებია. ჩვენ ვბაძავთ მაკროსამყაროს, მასსავით ვღელავთ, ვშფოთავთ, მდინარეებად განტოტვილი სისხლძარღვებით ვხაზავთ დიდ და მცირე წრეებს, ავი დარივით ვმრისხანებთ და მზესავით გამოვიდარებთ, მაგრამ ბუნება ამ ყველაფერს იმდენად დიდი ოსტატობით, იმდენად უცდომელი კანონზომიერებით აკეთებს, რომ თავის პირვანდელ სახეს არ კარგავს, „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჭყვავისა!“, ღვთის სახედაკარგული ადამიანი კი აღარ არის ლამაზი. ეს უნდა ვისწავლოთ ბუნებისაგან

- ციფრული რევოლუცია, ტექნიკური პროგრესი და ლიტერატურა, როგორ გესახებათ მომავალი ამ კუთხით?

- ცივილიზაცია და კულტურა ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია, მაგრამ როგორც გარსია მარკესი აღნიშნავს, ადრე, ხელით საბეჭდ მანქანაზე რომ ვწვალობდით, ახლა გაცილებით უკეთ გადაგვაქვს ელექტრონულ, ციფრულ სამყაროში ჩვენი ნააზრევი. თუ ტექნიკურ პროგრესს კულტურის განვითარების სასარგებლოდ გამოიყენებ, ამაში რა არის ცუდი, მაგრამ თუ ინფორმაციის ოკეანეში მხატვრული სიტყვა ზედმეტ წარმონაქმნად ჩავთვალეთ (რისი ნიშნებიც არის), მაშინ?.. მაგრამ მე მაინც მწამს, რომ ადამიანს ძალიან გაუჭირდება მხატვრული სიტყვის გარეშე, გამოცარიელდება, გამოიფიტება და მოინატრებს.

- წარმოიდგინეთ, რომ უცხოპლანეტელი ხართ, თქვენი გზავნილი - დედამიწელებს.

- მე ისედაც მიმაჩნია, რომ ყველა შემოქმედი უცხოპლანეტელია, უცხოა, მიუღებელია, სხვაა თავისი დროის, ეპოქის ცხოვრებისათვის. ხოლო ყოველი უცხო თვალი უკეთ ხედავს კაცთა მოდგმის მანკიერებებს. ჩემი გზავნილია: ადამიანებო, ხელი ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და გადაარჩინეთ კაცობრიობა! ნურასოდეს დაივიწყებთ: „ოდესღაც მამამ ყვავილებით მოჩითულ ველზე, სიზმრის მინდორში რომ ხატად თვისად... რა ლამაზი ხარ შენ ამ ხსოვნით, ადამიანო!“.

- როგორ გესახებათ მომავლის საქართველო, ბათუმი?

- მომავლის საქართველო მაშინ შედგება, როცა ჩვენ სიზმრების ენით აღარ ვილაპარაკებთ, როცა თავს დავაღწევთ ილუზიებს და რეალობას პირდაპირ ჩავხედავთ თვალებში. „რა ცოტას ნიშნავს, დავიბადე საქართველოში, საქართველოსთვის დავიბადე, უმთავრესია“. რაც შეეხება ბათუმს, მე ძველი ბათუმი მენატრება. ახლა მგონია, რომ უცხო ქალაქში დავდივარ და „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“...

- „ამ წიგნს ვწერ შენზე, ვინც გაბედე ამ ჯამბაზ დროში, არა უბრალოდ არსებობა, არამედ ყოფნა“ - ეს ამონარიდია თქვენი ლექსიდან, შეიძლება ითქვას, ლიტერატურული მანიფესტია. სავარაუდოდ, ალბათ მომავალ წიგნებშიც განსხეულდება ეს სულისკვეთება?

- დიახ. ეს ფრაზა ჩემი ცხოვრების მთავარ პრინციპს გამოხატავს: ადამიანი ყოველთვის უნდა დადგეს დროზე მაღლა...

- მოდით, ლექსით დაასრულეთ ეს ინტერვიუ...

- მაშინ, ბარემ იმ ლექსით დავასრულოთ ეს დიალოგი, რომელშიც გრძელდება დროზე მაღლა დადგომის სულისკვეთება.

სალი კლდისათვის

„რისთვის არიან საჭირო პოეტები არშემდგარ დროში“

ჰოლდერლინი

დაღდასმულია ეს ეპოქა გონის
სიბნელით,
და გულიც ხრჩოლავს სიბნელის
დაღით,
სამაგიეროდ, ჩახჩახებს ჭაღი,
სამაგიეროდ, ზიმზიმებს დახლი,
ზიმზიმებს დახლი და იზნიქება,
ზიმზიმებს დახლი და იზრიქნება,
გაზიზინებულ-გაზინთული
ტკბილი შხამებით.
დახლად ქცეულო კაცობრიობავ,
რით გამოკვებავ გაძვალებულ,
დამშეულ სულებს?!
რა საჭიროა პოეზია არშემდგარ
დროში...
მთვარის
ჯურღმულებში
ჩ
ა
კ
ა
რ
გული
ყმუილია
ჩვენი სიტყვები...
მწუხარებათა
ძ
ე
გ
ლ
ე
ბ
ია
ჩვენი ლექსები...
რა საჭიროა პოეზია არშემდგარ
დროში...
არ შემდგარია დრო ყველა დროში,
სულ ერთნაირად მსრბოლავია
ლუწი და კენტი,
მიიფლეხვება, მიიმხლევა გზები
რიოში,
მიჭიხვინებენ კენტავრები,
ლაგამებს კვნეტენ,
ღრმა ძილით სძინავთ ნამდვილ
ვეფხვებს და ნამდვილ ლომებს,
ვის მოსწრებია დრო შემდგარი ან
მეფეს რომელს
არ ედგა მხრებზე ქვის ბორბალი,
ბედივით მრუმე,
არც რომში მიდის ყველა გზა და
არც ახალ რომებს
არ ეღირსებათ წარმართული
ყიჟინის გრგვინვა
ცას მიაწვდინონ, რადგან ცაში
ახლა ღმერთია,
რომელმაც ივნო და რომელმაც
მაცნობა, ვინ ვარ,
რომელსაც ჩემად უფალად და
პატრონად ვუხმევ,
თავის უფლება ვინც მომმადლა,
მასწავლა ვინაც,
არ შეუდგეთო კვლავ მონობის
საზარელ უღელს.
რა საჭიროა პოეზია არშემდგარ
დროში...
მაგრამ, შეხედე, აქ მიწაზე ხდება
სხვაგვარად,
ჩახედე უფსკრულს, შავ
უფსკრულებს ჩაჰყეფე თვალი,
ღრმა არის წყალი და არც იკლებს
და არც იფონებს,
ტარტაროსებში, ალექტოსთან და
სხვებთან ერთად,
ისევ ღმუიან მეგერა და ის
ტისიფონე,
რომელთა სუნთქვაც სავსეა შხამით
და სულში ღამე, კუპრიანი,
შავბნელი ღამე,
არც გათენდება არასოდეს,
თუ არ იყივლე,
თუ არ იღმუვლე,
არ იყმუვლე,
არ იღრიალე,
თუ არ დადექი დროზე მაღლა,
უფსკრულზე მაღლა,
შავბნელი წყალი შავბნელ კუპრში
ჩაგითრევს ვიდრე.
რა საჭიროა პოეზია არშემდგარ
დროში...
ვნახე ამ დილით, მზე შემოდგა
კარჩხალის თავზე
და მზეკაბანი გადაჭფინა კახაბრის
მინდვრებს.
ყველა დროში, ყველა ადამიანი
პოეტია,
ვინც ისწრაფვის სინათლისაკენ.
რადგან მარადიულია „ფაკუნდოს“
კითხვა:
„ბარბაროსობა თუ
ცივილიზაცია?“
კულტურა თუ გამოქვაბული?
კბილი კბილის წილ,
თუ მიტევება და სინანული?
არშემდგარია დრო ყოველ დროში,
მიედინება ზათქით,
ნგრევით,
აურზაურით,
და თუ არ დადექ დროზე მაღლა,
უფსკრულზე მაღლა,
იგი ყოველთვის დაღს დაგასვამს
თავისი ნიშნით:
ათივე თითზე წამოგაცვამს
დაცემის ბეჭედს.